ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 22 აგვისტო, 2023 №164 (9200) ფასი: 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კელი დეგნანი: „გამოდით და მიიღეთ მონაწილეობა არჩევნებში, უზრუნველყავით, რომ თქვენი ხმა იყოს გაგონილი“



გვ.3

# „კალაძემ აგვისტო თბილისის აოხრების თვედ გამოაცხადა“



გვ.2

საბა ბუაძე: „ცათამბჯენების მშენებლობა მიმდინარეობს იმისათვის, რომ რუსეთიდან წამოსული მოთხოვნა დაკმაყოფილდეს“



„ივანიშვილის ცათამბჯენები გმირთა მოედანზე, წილოსანის მამის საკუთრებაში არსებული ვაგონშემკეთებელი ქარხნის ტერიტორია, დიდ დიღომში კობა კვეტენაძის საკუთრებაში არსებული ტერიტორია, ასევე თვალჭრელიძის ქუჩაზე ვანო ჩხარტიშვილის საკუთრებაში არსებული ტერიტორია, ჭავჭავაძეზე, სპორტის უნივერსიტეტის ადგილზე უზარმაზარი ცათამბჯენის პროექტი, რომელიც ეკუთვნის ნოშრევან ნამორაძეს — ყველა ამ პროექტის განხილვა დაგეგმილია მიმდინარე კვირაში“



გვ.3

## ირაკლი ზარქუა: „ორმაგი სტანდარტი ვიხილეთ აშშ-ში... აქ რა, „ბანანის რესპუბლიკაა“ და ამიტომ „მოსულა“?!

## ხატია დეკანოიძე: „ხალხის ძალის“ წევრებს მოუწოდებ, „დაგუგლონ“, რატომ წაუყენეს ბრალი ტრამპს“



გვ.4

## ირაკლი ქადაგიშვილი: „უცხოეთიდან პარტიების დაფინანსება აკრძალულია“



გვ.3



გვ.4

## გიული ალასანია: „ყველა ადამიანი, ყველა მოქალაქე უნდა იყოს პოლიტიკური პროცესების მონაწილე“



გვ.2

სანდრო რაქვიაშვილი: „სარჯველაძეს ჰგონია, შალვა პაპუაშვილთან ერთად ექსკავატორზე რომ ავმძვრალიყავით, ამით რამე უკეთეს ცოდნას მივიღებდით?!“

### გეგუჩაძემ ბათუმი დატოვა, თელავმა — გასავარდნი ზონა



გვ.7

### რობერტ სტურუა გოგი ხარაბაძეს: „შენდობას გთხოვ!“



გვ.8

1993230720223

**3** ზურაბ აზარაშვილი: „კორონავირუსი ჩვეულებრივი, სეზონური ვირუსია და მასზე ყურადღება აღარც უნდა მახვილდებოდეს“

**4** რა სიტუაცია იქმნება შავ ზღვაზე?

**5** რა არის კლინიკური სიკვდილი

**6** ამერიკელი რესპუბლიკელები ტრამპის ალტერნატივას ეძებენ

# „კალაძემ აგვისტო თბილისის აოხრების თვედ გამოაცხადა“

## საბა ბუაძე: „ცათამბჯენების მშენებლობა მიმდინარეობს იმისათვის, რომ რუსეთიდან წამოსული მოთხოვნა დაკმაყოფილდეს“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი საბა ბუაძე პასუხობს.

***– საბა, ბოლო პერიოდია, თბილისში მშენებლობებმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო. რა ხდება, რამდენად სახიფათო სიტუაციაა? როგორც ცნობილია, ახლა, ახალ ცათამბჯენებზე გასცემს ნებართვას თბილისი მერია. დადგება თუ არა კახი კალაძის პასუხისმგებლობის საკითხი?***

– 2023 წლის აგვისტო კალაძემ გამოაცხადა თბილისის აოხრების თვედ. ყველა მასშტაბური და პრობლემური პროექტის გამოტანა და დამტკიცება ახლა გადაწყვიტეს. მათ შორის არის ივანიშვილის ცათამბჯენები გმირთა მოედანზე, წილოსანის მამის საკუთრებაში არსებული ვაგონშემკეთებელი ქარხნის ტერიტორია, დიდ დიღომში, კობა კვეტენაძის საკუთრებაში არსებული ტერიტორია, ასევე თვალჭრელიძის ქუჩაზე ვანო ჩხარტიშვილის საკუთრებაში არსებული ტერიტორია, ჭავჭავაძეზე, სპორტის უნივერსიტეტის ადგილზე უზარმაზარი ცათამბჯენის პროექტი, რომელიც ეკუთვნის ნოშრევან ნამორაძეს – ყველა ამ პროექტის განხილვა დაგეგმილია მიმდინარე კვირაში.

***– რატომ? ახლა მაგისთვის არ სცალია საზოგადოებას და თანაც აგვისტო პოლიტიკურად ნაკლებად ცხელია?***

– როგორც ჩანს, დრო იხელთეს, როდესაც საზოგადოების ყურადღება არის მოდუნებული და მათ შორის, ნაწილობრივ, შოვის ტრაგედიაზეა ყველა გადართული, როგორც ემოციურად, ისე ყურადღების თვალსაზრისით. სწორედ ახლა გადაწყვიტეს, გამოიტანონ ყველა ეს პროექტი, რომელიც თბილისისთვის იქნება ურბანული გენოციდის გაგრძელება. ეს იქნება ურბანულად, კულტურული თვალსაზრისით თუ სატრანსპორტო თვალსაზრისით, ყველანაირად გაუმართლებელი მეგა პროექტები, რომელიც ამ ქალაქის იერსახეს მიაყენებს გამოუსწორებელ ზიანს და თბილისში ცხოვრებას გახდის უბრალოდ შეუძლებელს. ნაცვლად იმისა, რომ ხდებოდეს კონცენტრაცია და ზრუნვა იმაზე, რომ მოაწყონ სარეკრეაციო სივრცეები, პროექტები დაგეგმონ ისე, რომ სატრანსპორტო თვალსაზრისით იყოს მაქსიმალურად გონივრული, ხდება სრულიად საპირისპირო. ჩვენ ვიღებთ ახალ ბეტონის ჯუნგლებს, რომელიც კალაძისა და ივანიშვილის დამსახურებით, თბილისში კიდევ უფრო მეტად გაიზარდა.

***– რა შეაჩერებს ამ უგუნურ პოლიტიკას?***

– როდესაც ხელისუფლების პრიორიტეტი არის, რომ ფული იშოვონ მათ და მათთან დაკავშირებულმა ბიზნესმენებმა, მათ ვერაფერი შეაჩერებს. როდესაც ჩვენ უსაფრთხოებაზე ვსაუბრობთ, უსაფრთხოება მათი პრიორიტეტი არ არის. როდესაც ამ ორს შორის ხდება არჩევანის გაკეთება, „ქართული ოცნება“ არჩევანს ყოველთვის აკეთებს პირადი და პარტიული კეთილდღეობის სასარგებლოდ, რისი დასტურიც ის ბევრი პროექტია, რომელიც ახლა მიმდინარეობს.

***– ვინც თქვენ ჩამოთვალეთ, აბსოლუტურად ყველას გვარი „ქართულ ოცნებას“ უკავშირდება.***

– რასაკვირველია. დღეს ამ ხელისუფლების მთავარი საზრუნავი არის, რომ შეინარჩუნოს ხელისუფლება რუსეთის დახმარებით, იმისათვის, რომ აკეთონ ფული და პერსონალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა მოახდინონ.

***– საბა, რამდენად გაუძლებს თბილისი კიდევ ასეთ მასშტაბურ მშენებლობებს, ამდენ ცათამბჯენს?***

– ხომ ვხედავთ, ისედაც ძალიან მძიმე მდგომარეობაა თბილისში, როგორც სატრანსპორტო და ურბანული, ისე გარემოსდაცვითი თვალსაზრისით. იმის ნაცვლად, რომ ხდებოდეს ტერიტორიების დაგეგმვა და ათვისება მაქსიმალურად საზოგადოებრივი სივრცეების შექმნით, ვხედავთ სრულიად საპირისპიროს! ხდება ყველგან ბეტონის ჯუნგლების მშენებლობა, ხდება მაღალსართულიანი კორპუსების მშენებლობა და სავარაუდოდ, ამ კორპუსების მშენებლობა იმისათვის მიმდინარეობს, რომ რუსეთიდან წამოსული ხალხის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, რაც არის სერიოზული პრობლემა, რაც არის ასევე ამ ხელისუფლების ძალიან სამარცხვინო სახის დემონსტრირება, როდესაც ისინი მზად არიან, მთელი საქართველო ჩააყენონ რუსეთისა და რუსეთიდან ჩამოსული ტურისტების სამსახურში.

***– აღნიშნეთ, რომ მიმდინარე კვირას მოხდება ამ ახალი პროექტების განხილვა და დამტკიცება. რა მოლოდინი გაქვთ, რამდენად ხმაურიანი სხდომები გველის? არის შანსი ეს პროექტები ჩავარდეს?***

– სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ განწყობილია იმისთვის, რომ ეს პროექტები დაამტკიცოს, ყველანაირი წინააღმდეგობის მიუხედავად. თუ ჩვენ გვინდა, შევეწინააღმდეგოთ იმას, რასაც კალაძე და ივანიშვილი თბილისს უკეთებენ, აუცილებელია, საზოგადოებრივი ზეწოლა და ჩართულობა გაიზარდოს ამ პროცესში და საზოგადოებამ ამოიღოს ხმა! ეს არის ჩვენი უშუალო საცხოვრებელი გარემო! საუბარია იმაზე, რომ კალაძე ივანიშვილთან ერთად აპირებს, საბოლოოდ დაამახინჯოს და გაანადგუროს ჩვენი საცხოვრებელი გარემო! საცხოვრებლად უვარგისი გახადონ თბილისი, სწორედ ამ ველური და აღვირახსნილი მშენებლობებიდან გამომდინარე.



***– ანუ კალაძის ინტერესიც დიდია ამ ყველაფერში?***

– რასაკვირველია! კალაძის პოლიტიკური და საქმიანი მემკვიდრეობის მთავარი სავიზიტო ბარათი არის ის აღვირახსნილი და ველური მშენებლობები, რომლებიც თბილისში მიმდინარეობს. უკვე კონტროლიდან არის გასული, რომელიც ძალიან ბევრი დარღვევით მიმდინარეობს და მათ შორის მიმდინარეობს „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული პირების დაკვეთით.

***– საბა, უზარმაზარი ადგილია ვაგონშემკეთებელი ქარხნის ტერიტორია. საუბარია, რომ ცათამბჯენები სწორედ მანდ უნდა აშენდეს. რამდენად უსაფრთხოა ასეთი მასშტაბური მშენებლობა? დაიტევს თბილისი კიდევ ამდენ ახალ კორპუსს, მოსახლეს, მათ ავტომობილებს? ისედაც სრული კოლაფსია ამ მიმართულებით.***

**„ივანიშვილის ცათამბჯენები გმირთა მოედანზე, წილოსანის მამის საკუთრებაში არსებული ვაგონშემკეთებელი ქარხნის ტერიტორია, დიდ დიღომში კობა კვეტენაძის საკუთრებაში არსებული ტერიტორია, ასევე თვალჭრელიძის ქუჩაზე ვანო ჩხარტიშვილის საკუთრებაში არსებული ტერიტორია, ჭავჭავაძეზე, სპორტის უნივერსიტეტის ადგილზე უზარმაზარი ცათამბჯენის პროექტი, რომელიც ეკუთვნის ნოშრევან ნამორაძეს – ყველა ამ პროექტის განხილვა დაგეგმილია მიმდინარე კვირაში“**

– ვაგონშემკეთებელი ქარხნის ტერიტორია არის 217 ათასი კვადრატული მეტრი და აქ აპირებენ, რომ, ფაქტობრივად, გააშენონ ერთი ახალი უბნის ტოლფასი უზარმაზარი დასახლება, მრავალსართულიანი კორპუსებით, ძალიან შეზღუდული სარეკრეაციო სივრცით და რაც მთავარია, ყველანაირი ნორმის დარღვევით. ამას აკეთებენ იმისათვის, რომ მაქსიმალურად მეტი ფული ამოტუმბონ თბილისელების კეთილდღეობის საზიანოდ.

***– სპეციალისტებსაც არ უსმენენ. შოვი მონაგონია, შესაძლოა, ისეთი პროცესები განვითარდესო. ვინ იქნება ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი?***

– ჩვენ ვნახეთ, რომ უსაფრთხოება ამ ხელისუფლების პრიორიტეტი არ არის. მათ შორის ძალიან კარგად ჩანს, თუნდაც ივანიშვილის აბრეშუმის ფაბრიკის ტერიტორიაზე დაგეგმილი ორი 50-სართულიანი ცათამბჯენის მაგალითზე, რომელიც პირდაპირ მდინარე ვერეს კალაპოტშია. 2019 წელს სპეციალისტებმა ჩაატარეს კვლევა და თქვეს, რომ იქ არანაირი მშენებლობის წარმოება, მით უმეტეს, კომპლექსური და მულტიფუნქციური მშენებლობების წარმოება არ შეიძლება. თუმცა, ივანიშვილმა გაყიდა ეს პროექტი, მიყიდა ასევე საეჭვო წარმომავლობის ადამიანებს, რომელთა უკანაც, დიდი ალბათობით, დგანან სანქცირებული რუსი ოლიგარქები და ახლა თბილისში გვექნება ორი 50-სართულიანი კატასტროფული ცათამბჯენი, თანაც, ძალიან სახიფათო ადგილას!

***– თქვენი პარტიის ლიდერმა ასევე მოითხოვა, რიკოთის უღელტეხილი უცხოელმა ექსპერტებმა შეისწავლონ და დასკვნა სწორედ მათ დადონ, რამდენად უსაფრთხოა. ვისმენთ შეფასებებს, რომ ამ კუთხით მდგომარეობა საგანგაშოა. რა მოლოდინი გაქვთ?***

– დიახ, რიკოთზე სავალალო მდგომარეობაა. არა და ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ინფრასტრუქტურული და ეროვნული მნიშვნელობის პროექტი და ამ პროექტის განხორციელება ჩააბარეს საეჭვო რეპუტაციის მქონე ჩინურ კომპანიას, რომელმაც თავი დაგვამახსოვრა იმით, რომ გაჩნდა კითხვის ნიშნები ამ პროექტის მშენებლობის ხარისხთან და უსაფრთხოების რისკებთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, ჩვენი მოთხოვნა და შეთავაზებაა, ჩატარდეს საერთაშორისო უსაფრთხოების აუდიტი, შეფასდეს გარემოსდაცვითი კუთხით, რათა ვიცოდეთ, ქვეყნის მთავარი მაგისტრალი რამდენად უსაფრთხოა და რამდენად შეესაბამება ელემენტარულ, ადეკვატურ სტანდარტებს.

# სანდრო რაქვიაშვილი: „სარჯველაძეს ჰგონია, შალვა პაპუაშვილთან ერთად ექსკავატორზე რომ ავმძვრალიყავით, ამით რამე უკეთეს ცოდნას მივიღებდით?!“

– სარჯველაძეს ჰგონია, ჩვენ, მაგალითად, შალვა პაპუაშვილთან ერთად ექსკავატორზე რომ ავმძვრალიყავით, ამით რამე უკეთეს ცოდნას მივიღებდით?! – ასე ეხმიანება „გირჩის“ დეპუტატი სანდრო რაქვიაშვილი ჟურნალისტებთან ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის, მიხეილ სარჯველაძის განცხადებას, რომ ოპოზიცია, რომელიც შოვის ტრაგედიაზე ხმამაღლა საუბრობს, შოვში არ ყოფილა, სადაც შეიძლება კითხვებზე პასუხები მიეღო ან პირიქით, მეტი კითხვა გასჩენოდა.



რაქვიაშვილის თქმით, მათ „ქართული ოცნების“ სპექტაკლში მონაწილეობა არ მიუღიათ და შოვში ჩასვლაზე არ უფიქრიათ.

– მგონი, არ ესმით, რა არის საგამოძიებო კომისია. საგამოძიებო კომისია არ გამოიძიებს ტექნიკურ ქმედებებს მაშველების, პილოტების და ა.შ. პროკურორები შეიძლება არ იყვნენ ადგილზე, მაგრამ გამოიძიონ მოწმეების (გამოკითხვის), დოკუმენტების გაცნობის შედეგად. საგამოძიებო კომისია სხვა რამით არის დაკავებული და უცნაურია, რომ პარლამენტარებმა ეს არ იციან.

ის, რომ „ქართული ოცნების“ სპექტაკლში მონაწილეობას არ იღებდა ოპოზიციის ნაწილი (თუმცა, მგონი ვიღაცები იყვნენ იქ), ჩვენ არც კი გვიფიქრია იქ წასვლა, რადგან ცხადია, რომ იქ მაშველების საქმეა და მგონი, „ქართული ოცნების“ ლიდერები ხელს უშლიდნენ პირიქით, თუ ეს განსაკუთრებული მიღწევაა, „ოქეი“, – განაცხადა რაქვიაშვილმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა მალაშაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კელი დეგნანი: „გამოდით და მიიღეთ მონაწილეობა არჩევნებში. უზრუნველყავით, რომ თქვენი ხმა იყოს გაგონილი“

– გამოდით და მიიღეთ მონაწილეობა არჩევნებში. უზრუნველყავით, რომ თქვენი ხმა იყოს გაგონილი და თქვენი არჩევანი დათვლილი – იმედი მაქვს, 2024-ის არჩევნები უკეთესი იქნება, – ამის შესახებ აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა „რადიო თავისუფლებასთან“ ინტერვიუში განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ნაკლებად მნიშვნელოვანია, აშშ-ს აქვს თუ არა ნდობა შედეგის მიმართ, არამედ ამომრჩეველსა და საქართველოს ხალხს უნდა სჯეროდეს, რომ არჩევნები ნამდვილად სამართლიანია და ასახავს საქართველოს ხალხის ნებას.

– ვფიქრობ, ჩემი რჩევა უფრო ამომრჩევლებისთვის იქნებოდა განკუთვნილი: გამოდით და მიიღეთ მონაწილეობა არჩევნებში. უზრუნველყავით, რომ თქვენი ხმა იყოს გაგონილი და თქვენი არჩევანი – დათვლილი. აშშ-ის საელჩო მხარს დაუჭერს ამომრჩევლის განათლების კამპანიას, რომელიც ადამიანებს დაეხმარება არა მხოლოდ იმის გაგებაში, რატომ არის მათი ხმა მნიშვნელოვანი, არამედ იმაშიც, რომ ამ კონკრეტულ არჩევნებზე, როცა უბნების 90% გადადის ხმის მიცემის ელექტრონულ სისტემაზე, ამომრჩეველმა იცოდეს, ეს როგორ მუშაობს. უბნების თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ, ეს როგორ მუშაობს. სხვაგვარად გვექნება მეტი დაბნეულობა როგორც ოლქებში, ისე უბნებზე. ვინაიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ვნახეთ, როცა უბნების 10%-ზე იყო ელექტრონული ხმის მიცემა, იყო გარკვეული პრობლემები – მართალია, უფრო ტექნიკური და არა რაიმე სხვა, მაგრამ ამან შეიძლება მთელი პროცესი შეანელოს, როცა მთელი ქვეყანა ელექტრონულად აძლევს ხმას. აშშ-შიც ვნახეთ, რომ ელექტრონული სისტემა არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ყველაფერი სუფთა და სამართლიანი იქნება. მისით მანიპულაციაც შესაძლებელია, თუკი ადამიანები არ არიან გაწვრთნილები ამ სისტემის გამოყენებაზე და თუკი ამომრჩევლებს არ ესმით, ის როგორ მუშაობს. ასე რომ, ეს იქნება მნიშვნელოვანი არჩევნები და საგანმანათლებლო კამპანია არა მხოლოდ იმაზე, რატომ არის შენი ხმა მნიშვნელოვანი, არამედ ხმის მიცემის ძალიან ტექნიკურ მხარეზეც.



მნიშვნელოვანია აგრეთვე მონიტორინგის გრძელვადიანი მისია, რადგან მხოლოდ არჩევნების დღეს არ ხდება არასწორი რალაცები, სინამდვილეში ეს თვეებით ადრე ხდება: ადამიანების დაშინება, ხმების მოსყიდვა, ადამიანების მიმართ მუქარა, რომ, თუკი ისე არ მისცემენ ხმას, როგორც საჭიროა, სამსახურს დაკარგავენ. გავიმეორებ, ეს არის ტაქტიკები, რომლებიც საქართველოში გამოიყენება ბევრი, ბევრი წელია სხვადასხვა ხელისუფლების დროს. ძალიან მნიშვნელოვანია არჩევნებზე ადრეული მონიტორინგი იმისათვის, რომ დავეხმაროთ საქართველოს ამომრჩეველს, მოგვიანებით ჰქონდეს ნდობა შედეგის მიმართ. ნაკლებად მნიშვნელოვანია აშშ-ს აქვს თუ არა ნდობა შედეგის მიმართ, არამედ ამომრჩეველსა და საქართველოს ხალხს უნდა სჯეროდეს, რომ არჩევნები ნამდვილად სამართლიანია და ასახავს საქართველოს ხალხის ნებას. 2020-ში კოვიდის გამო შეუძლებელი იყო საერთაშორისო მეთვალყურეობის უზრუნველყოფა და ვფიქრობ, ამან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმაში, რომ ამდენს გაუჩნდა შეკითხვები, რატომაც იყო ამდენი ბრალდება და საჩივარი – ვინაიდან არ გქონდათ საგარეო დახმარება მეთვალყურეებით, რომლებიც დაგეხმარებოდნენ პრობლემების გამოვლენასა და იმის დადასტურებაში, პროცესი სამართლიანი იყო თუ არა. არავის განუცხადებია, რომ 2020-ის არჩევნები სამართლიანი იყო და არც 2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებზე უთქვამს ვინმეს, რომ სამართლიანი იყო. ეს სამწუხაროა და იმედი მაქვს, 2024-ის არჩევნები უკეთესი იქნება, – განაცხადა დეგნანმა.

# ირაკლი ზარქუა: „ორმაგი სტანდარტი ვიხილეთ აშშ-ში... აქ რა, „ბანანის რესპუბლიკაა“ და ამიტომ „მოსულა“?!

– ორმაგი სტანდარტი ვიხილეთ აშშ-ში. იქ თუ დანაშაულია წაგებულის მხრიდან წაგების არაღიარება და გამარჯვებული პარტიის გაყალბებაში დადანაშაულება, აქ რა, „ბანანის რესპუბლიკაა“ და ამიტომ „მოსულა“?! ამას ვედავებით კელი დეგნანს – რადიკალების გვერდით დგომა მიუღებელია, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი ზარქუამ „ხალხის ძალის“ განცხადებაზე კომენტირებისას აღნიშნა.



მისივე თქმით, მეორე ფრონტი საქართველოში არ გაიხსნება, სანამ „ქართული ოცნება“ იქნება ხელისუფლებაში და „ეს ყველამ უნდა იცოდეს, როგორც პარტნიორმა, ასევე მტერმაც და მოყვარემაც“.

– ჩვენ ვიხილეთ ორმაგი სტანდარტი აშშ-ში საარჩევნო კამპანიისა და იმ პერიპეტიების მიმართ, რაც იყო. აქ განსხვავებული მიდგომა აქვთ სტრატეგიულ პარტნიორებს და მათ წარმომადგენლებს და ეს ჩემთვის გაუგებარია. იქ თუ დანაშაულია წაგებულის მხრიდან წაგების არაღიარება და გაყალბებაში დადანაშაულება გამარჯვებული პარტიის, აქ რა, ყველაფერი „მოსულა“ ჩვენს ქვეყანაში? ეს „ბანანების რესპუბლიკაა“ და ამიტომ „მოსულა“?! ამას ვედავებოდით ქალბატონ დეგნანს. პირდაპირ უნდა ვთქვათ, ის ვერ შედგა როგორც ელჩი და იმის ნაცვლად, რომ პოლარიზაცია შეემცირებინა, გააკეთა ყველაფერი და უფრო მეტად გააღრმავა. ვწუხვარ, მაგრამ ამის თქმის საფუძველს მაძლევს მისი ქმედებები, განცხადებები და მისი ეს მიდგომები, რაც ჰქონდა საარჩევნო კამპანიის მიმართ. ჩვენ გაცხადებული გვაქვს, რომ საქართველოს მომავალი უკავშირდება ევროატლანტიკურ სივრცეს, ეს კონსტიტუციაშიც კი ალვბეჭდეთ, მაგრამ ვინც ჩვენი ქვეყნის ინტერესებს პატივს არ სცემს, იგნორირებას გაუკეთებს და რადიკალების გვერდით დადგება, ეს ჩემთვის პირადად მიუღებელია. ამიტომაც პიროვნულად არაფერი, მაგრამ მგონია, რომ ბევრი შეცდომა დაუშვა ქალბატონმა ელჩმა.

მე მგონია, რომ ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც შეგნებულად ცდილობდა, საზოგადოება შეცდომაში შეეყვანა, რევოლუციური ტალღა ყოფილიყო და ქვეყანა შეენჯღრია, გარკვეული ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ შემდგომში არავინ გაბედოს, რომ ეს ქვეყანა ქაოსში და არეულობაში შეიყვანოს, რომ გარკვეული სახელმწიფოს ინტერესები იყოს გატარებული აქ. მეორე ფრონტი საქართველოში არ გაიხსნება, სანამ „ქართული ოცნება“ იქნება ხელისუფლებაში. ეს ყველამ უნდა იცოდეს, როგორც პარტნიორმა, ასევე მტერმაც და მოყვარემაც, – განაცხადა ზარქუამ.

ინფორმაციისთვის, „ხალხის ძალა“ მიიჩნევს, რომ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე საქართველოს კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ შეთქმულებისა და ქართველი ხალხის მოტყუების გამო.

როგორც მოძრაობის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, იმედოვნებენ, რომ პროკურატურა სერიოზულად დაინტერესდება ამ საკითხით.

– ამერიკულმა პროკურატურამ ამერიკის ყოფილ პრეზიდენტს, დონალდ ტრამპს წაუყენა კიდევ ერთი ბრალი ხმამაღალი სათაურით: „შეთქმულება შეერთებული შტატების მოტყუებისთვის“. საბრალდებო დოკუმენტში ნათქვამია, რომ „არჩევნების დღიდან ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ბრალდებული ავრცელებდა სიცრუეს, რომ არჩევნები გაყალბდა და რეალურად მან გაიმარჯვა. ეს პრეტენზიები მცდარი იყო, რაც ბრალდებულმა იცოდა, მაგრამ მაინც გამოთქვამდა, რათა უნდობლობისა და ბრაზის ინტენსიური ატმოსფერო შეექმნა და არჩევნების ადმინისტრირების მიმართ საზოგადოების რწმენა შეერყია.

გამოდის, რომ ამერიკული სტანდარტით, საქართველოში დასაჭერი ყოფილა მთელი ოპოზიცია, ყველა ოპოზიციური ტელევიზიის ხელმძღვანელი და მდიდარი NGO-ების ყველა თავმჯდომარე. იგივეს ვერ შევკადრებთ ამერიკის ელჩს და ევროკავშირის მაშინდელ „ამერიკელ“ ელჩს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ქართველი ხალხის მოტყუება თავადაც სცადეს, ოპოზიციის ყალბი ბრალდებები არჩევნების გაყალბების შესახებ პოლიტიკურ კრიზისად მონათლეს და ამ ყველაფრის საფუძველზე, მმართველ პარტიას 19 აპრილის კაბალურ შეთანხმებაზე მოაწერინეს ხელი, – აღნიშნულია განცხადებაში.

# ირაკლი ქადაგიშვილი: „უცხოეთიდან პარტიების დაფინანსება აკრძალულია“

– უცხოეთიდან პარტიების დაფინანსება აკრძალულია – თუ ასეთი რამ დადასტურდება, რეაგირებაა საჭირო, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი ქადაგიშვილმა განაცხადა, რითაც გამოეხმაურა „რეგიონული განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის“ ხელმძღვანელის განცხადებას, რომელიც აუდიტის სამსახურს მიმართავს, მოკვლევა დაიწყოს პარტიების მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნის გზით უცხოეთიდან „უკანონო შემოწირულობის მიღებასთან დაკავშირებით“.

ქადაგიშვილი აღნიშნავს, რომ მათთვის ღია წყაროებითაც არის ცნობილი, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის არსებობის შესახებ, რომლებსაც ერთი და იგივე პირები მართავენ. მისივე თქმით, პოლიტიკური პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ საქმიანობაში გაერთიანება კანონის დარღვევაა.

– პარტიების საქმიანობა კანონით არის განსაზღვრული და უცხოეთიდან პარტიების დაფინანსება აკრძალულია. ეს ნორმა ყველა დემოკრატიულ ქვეყანაშია აღიარებული, რომ უცხო ქვეყნის გავლენა პოლიტიკაზე, მათ შორის, ფინანსებით, არ იყოს.

არასამთავრობო ორგანიზაცია შინაარსით არის აბსოლუტურად სხვა ორგანიზაცია, რომელიც თავისი სახელწოდებით მიანიშნებს, რომ პოლიტიკასთან ნაკლები შეხება უნდა ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ საქმიანობაში გაერთიანება კანონის დარღვევაა.



თუ ასეთი რამ ხდება, ეს შესწავლის საგანი უნდა იყოს. თუ ასეთი რამ დადასტურდება, რეაგირებაა საჭირო. ჩვენ ვიცით და ღია წყაროებშია, როცა სხვადასხვა პოლიტიკური პარტია და ზუსტად იგივე სახელწოდების არასამთავრობო ორგანიზაციები არსებობენ, მათ შორის, ერთი და იგივე პირები არიან მათი მმართველები და ხელმძღვანელები, – განაცხადა ქადაგიშვილმა.

# ზურაბ აზარაშვილი: „კორონავირუსი ჩვეულებრივი, სეზონური ვირუსია და მასზე ყურადღება აღარც უნდა მახვილდებოდეს“

– დღეს, მთელ მსოფლიოში, კორონავირუსი აღიქმება, როგორც ჩვეულებრივი, სეზონური ვირუსი. არანაირი განგაშისა და პანიკის საფუძველი არ არსებობს. მასზე განსაკუთრებული ყურადღება აღარც უნდა მახვილდებოდეს. მოგეხსენებათ, რამდენიმე თვის წინ, ცალკეული შემთხვევების აღრიცხვაც კი შევაჩერეთ, რადგან ამის საჭიროება ნამდვილად არ დგას. კოვიდპანდემია რომ დასასრულს უახლოვდებოდა და ერთ-ერთ ჩვეულებრივ, სეზონურ ვირუსად გადაიქცეოდა, ამაზე, ჯერ კიდევ 2022 წელს ვსაუბრობდი. დღეს, ეს მართლაც ასეა, – ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა განაცხადა.



როგორც ზურაბ აზარაშვილმა აღნიშნა, კორონავირუსის ნებისმიერი ახალი ვარიანტისთვის დასახელების მინიჭება, იქნება ეს EG.5 თუ სხვა, მეცნიერების კვლევის საგანია. მინისტრის განცხადებით, მოსახლეობისთვის, შესაძლოა, ზედმეტი სტრესის მომტანი აღმოჩნდეს ასეთი დეტალების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რისი რეალური საფუძველიც, დღეს არ არსებობს.

– განსაკუთრებული ნამდვილად არაფერი ხდება. თუ, ამ მხრივ, რაიმე შეიცვლება, მოსახლეობა პირველი სწორედ ჯანდაცვის სამინისტროსგან მიიღებს ინფორმაციას. ის, რაც კორონავირუსის გავრცელების კუთხით, წინა წლებში ფიქსირდებოდა, წარსულს ჩაბარდა და დღეს, მისი განმეორების არანაირი საფუძველი არ იკვეთება.

მინდა, მოვუწოდო და ვთხოვო ყველას, ვინც, თითქოს, უფრო მეტ ყურადღებას იჩენს მოსახლეობის მიმართ, ვიდრე საქართველოს მთავრობა და ამ შემთხვევაში, ჩვენ, ჯანდაცვის სამინისტრო. ნუ შეეცდებიან, საზოგადოებაში, დაძაბულობის შემოტანას. ნუ გაამახვილებენ ყურადღებას ახალი ქვეშტამების დასახელებებზე. დღეს, კორონავირუსი არის ჩვეულებრივი, სეზონური ინფექცია, რომლის მსგავსსაც წელიწადის სხვადასხვა დროს ვხვდებით, – განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა „იმედის“ ეთერში, რომლის კომენტარსაც ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

2023, 22 აგვისტო, №164

# რა სიტუაცია იქმნება შავ ზღვაზე?

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველო შავი ზღვის აუზის ქვეყანაა, ამიტომ შავ ზღვაზე მიმდინარე პროცესები და მისი უსაფრთხოება მას პირდაპირ ეხება.

საქართველოში ცოტა ხნის წინ პროტესტი გაიმართა რუსი ტურისტებით დატვირთული საკრუიზო გემის ბათუმის პორტში შემოსვლის გამო. ექსპერტების აზრით, ამ ლაინერის, ასევე რუსული გემის სოხუმში (ეს ერთდროულად მოხდა) შემოსვლას ტურისტული და გასართობი კი არა, სულ სხვა მიზნები ჰქონდა – რუსეთი ეცადა საკუთარი გავლენის გაძლიერებას შავ ზღვაზე. სიტუაციას ართულებს რუსეთის უკრაინაში შეჭრა და იქ მიმდინარე ომი.



აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების გადამდგარი ადმირალი, ჯეიმს სტავრიდისი ამერიკულ მედიასთან აცხადებს, რუსეთი აწყობს შავ ზღვაში საკუთარი გემების დათვალიერებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი ნატოსთან.

– რუსეთის მოქმედებები შავი ზღვის საერთაშორისო წყლებში ქმნის რეალურ რისკს იმისა, რომ დაიწყოს ომი ზღვაზე ნატოსა და რუსეთის ფედერაციას შორის, – აღნიშნა სტავრიდისმა.

მისი აზრით, ნატომ უნდა მოახდინოს გემების მოძრაობისთვის ჰუმანიტარული დერეფნის ორგანიზება.

საკითხს ეხმაურება რუსი სამხედრო მიმომხილველი მიხაილ ხოდარიონოკი.

– მოჰყვება თუ არა გამწვავებას შავი ზღვის რეგიონში სამხედრო შეჯახება რუსეთსა და ნატოს შორის, გაუგებარია. ჰაერში ბატონობის გარეშე ფლოტი მარცხისთვისაა განწირული, ვინც რა ძალები არ უნდა შემოიყვანოს შავ ზღვაზე, – აღნიშნა კრემლის პოლიტიკის მიმდევარმა.

მისი დასკვნით, ნებისმიერი შეირაღებული შეჯახება ნატოსა და რუსეთს შორის შავი ზღვის აკვატორიაში გამოიწვევს ბირთვული იარაღის გამოყენებას.

– ამ ეტაპზე აშშ და მისი მოკავშირეები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ არ იყვნენ ჩათრეულნი რუსეთთან კონფლიქტში „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ მიმდინარეობისას, – აღნიშნა კრემლის მხარდამჭერმა მიმომხილველმა.

შავ ზღვაზე შექმნილ ვითარებას ბელარუსის თავისუფალ მედიასთან აფასებს უკრაინელი სამხედრო ექსპერტი მიხაილ სამუსი.

**მიხაილ სამუსი:**

– შავ ზღვაზე დღეს თავის წესებს ყველას უკრაინა კარნახობს. 2014 წლიდან მოყოლებული, მივმართავდით ჩვენს მოკავშირეებს და ვთავაზობდით მათ კონსტანცაში გაერთიანებული სარდლობის ჩამოყალიბებას, ანუ ნატოს ფლოტის ძალების მუდმივმოქმედი ესკადრის შექმნას. სამწუხაროდ, აქ ნატო და აშშ უფრო ნეიტრალიტეტის პოლიტიკის მომხრეები არიან. ისინი ამბობენ, რომ პირდაპირი სამხედრო კონფლიქტი შავ ზღვაზე არ შეესაბამება ნატოს ინტერესებს... 2014 წლიდან, ესე იგი, ყირიმის ანექსიის შემდეგ, შავ ზღვას, ფაქტობრივად, რუსეთი აკონტროლებდა. რუსეთის ფედერაცია არღვევდა და ანგრევდა საზღვაო სამართლის პრინციპებს, შავ ზღვაზე მოქმედ საერთაშორისო სამართალს.

ისტორიული ხანა დაიწყო მას შემდეგ, რაც განადგურდა (უკრაინელების მიერ) რუსეთის ფლოტის ფლაგმანი კრეისერი „მოსკვა“. ამის შემდეგ რუსეთის გემებზე იყო სხვა შეტევებიც.

ფლოტის უქონლობის პირობებში უკრაინამ შეძლო ისეთი სიტუაციის შექმნა, როცა რუსეთი თავისუფლად ველარ მოქმედებს. ის მოქმედებს იმ ჩარჩოებში, რის უფლებასაც უკრაინა აძლევს. რუსეთი თავისი გემების დათვალიერებას, პატრულირებას ახერხებს ოდესიდან 300 კილომეტრში.

***– რატომ ხდება ასე?***

– გემების საწინააღმდეგო უკრაინული რაკეტების სიშორე 300 კილომეტრია. ამის გამო რუსები ცდილობენ, ან 300 კილომეტრის დაშორებით იყვნენ, ან ყირიმთან.

ყირიმში ოკუპანტების კონტინგენტს მძლავრი დაჯგუფება ჰყავს. სიტუაცია შეიცვალა უკრაინელი სამხედრო დრონების აქტიური მოქმედებების დაწყების შემდეგ. დარტყმები ნოვოროსიისკზე, გემებზე, რუსეთის სამხედრო-საზღვაო ბაზაზე გახდა ახალი სტადიის დასაწყისი.

უკრაინას აქვს რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სრული განადგურების ამოცანა. ყირიმის დეოკუპაციის მზადების დროს ყველაფერი გეგმაზომიერად განხორციელდება. დარწმუნებული ვარ, უკრაინა მოითხოვს, რომ რუსეთს ჩამოერთვას შავ ზღვაზე სამხედრო-საზღვაო ძალების ყოლის უფლება. შავი ზღვა შეიძლება იყოს ბიზნესის, ეკონომიკის, ქვეყნებს შორის სანდო ურთიერთობების ზღვა.

***– ცოტა ხნის წინ უპილოტო თვითმფრინავმა დარტყმა მიაყენა ყირიმის ხიდს. ამან პანიკა გამოიწვია რუსეთის ფედერაციაში. როგორ აფასებთ დრონების წარმოებას უკრაინაში?***

– უკრაინას რამდენიმე ტიპის დრონი აქვს. მიმდინარეობს მათი მუდმივი ევოლუცია. ამ სფეროში უკრაინა მსოფლიოს ლიდერია. ჩვენნაირი საზღვაო დრონები არც აშშ-ს, არც საფრანგეთს და არც დიდ ბრიტანეთს არ აქვთ შეიარაღებაში. ეს დრონები გვაქვს, სხვებიც გვექნება – წყალქვეშა და წყალზედა დრონები.

უკრაინას ფლოტი არ ჰყავს. თუმცა, საზღვაო დრონების, გემების საწინააღმდეგო რაკეტებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია მტრის ბევრი სამხედრო ობიექტის განადგურება. დეოკუპაციის დროს ავიაციასაც გამოვიყენებთ.

# ხატია დეკანოიძე: „ხალხის ძალის“ წევრებს მოვუწოდებ, „დაგუგლონ“, რატომ წაუყენეს ბრალი ტრამპს“



– „ხალხის ძალის“ წევრებს მოვუწოდებ, „დაგუგლონ“, რატომ წაუყენეს ბრალი ტრამპს – 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ქართული ოცნებაც“ დაკარგავს ძალაუფლებას და ახლა ცდილობენ, ეს წინასაარჩევნო წელი იყოს ისტერიისა და პოლიტიკური ეგზეკუციის მიმართულებით ძალისხმევის წელი, – ამის შესახებ ჟურნალისტებთან პარლამენტში, პოლიტიკური ჯგუფის „ევროოპტიმისტების“ წევრმა ხატია დეკანოიძემ განაცხადა.

დეკანოიძე წინასაარჩევნოდ რეპრესიებს არ გამორიცხავს, თუმცა, აღნიშნავს, რომ ივანიშვილის პროექტი „ხალხის ძალის“ სახით, ჩავარდა და ახლა მისი წარმომადგენლები ხმამაღალ განცხადებებს აკეთებენ ყურადღების მისაპყრობად.

– „დაგუგლონ“ და წაიკითხონ, რატომ წაუყენეს ბრალი ყოფილ პრეზიდენტ ტრამპს. „ხალხის ძალაში“ ბიძინა ივანიშვილმა ჩადო საკმაოდ დიდი რესურსი და ის მოიაზრებოდა „ქართული ოცნების“ განაყოფად, რომელსაც არჩევნებზე პრორუსული ამომრჩევლის (ძალიან ცოტა) ხმები უნდა წაეღო. ახლა გვაქვს მოცემულობა, როცა რუსული კანონის ჩავარდნის შემდეგ „ხალხის ძალა“ არის გაკოტრებული, ივანიშვილის ეს პროექტი ჩავარდა, „ხალხის ძალა“ ვერაფერს იზამს არჩევნებზე, ვერანაირ მხარდაჭერას მიიღებს და აკეთებენ ხმამაღალ განცხადებებს. ივანიშვილის ეს გაკოტრებული პროექტი საბოლოოდ გაპარტახებულია, სწორედ ამიტომ ცდილობენ გაკოტრებული პოლიტიკოსების განცხადებებით ყურადღება მიიპყრონ.

რეპრესიებს მე, რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ, მაგრამ ვიმეორებ, ეს არის ივანიშვილის გაკოტრებული პროექტი, რომელიც ახმოვანებს ხოლმე „ქართული ოცნების“ ინიციატივებს, მაგრამ მათ უნდა ესმოდეთ, არათუ „ხალხის ძალა“, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ქართული ოცნებაც“ დაკარგავს ძალაუფლებას, ამიტომაც ახლა ცდილობენ, ეს წინასაარჩევნო წელი იყოს ისტერიისა და პოლიტიკური ეგზეკუციის მიმართულებით ძალისხმევის, – განაცხადა დეკანოიძემ.

ინფორმაციისთვის, „ხალხის ძალა“ მიიჩნევს, რომ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე საქართველოს კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ შეთქმულებისა და ქართველი ხალხის მოტყუების გამო.

როგორც მოძრაობის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, იმედოვნებენ, რომ პროკურატურა სერიოზულად დაინტერესდება ამ საკითხით.

– ამერიკულმა პროკურატურამ ამერიკის ყოფილ პრეზიდენტს, დონალდ ტრამპს წაუყენა კიდევ ერთი ბრალი ხმამაღალი სათაურით: „შეთქმულება შეერთებული შტატების მოტყუებისთვის“. საბრალდებო დოკუმენტში ნათქვამია, რომ „არჩევნების დღიდან ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ბრალდებული ავრცელებდა სიცრუეს, რომ არჩევნები გაყალბდა და რეალურად მან გაიმარჯვა. ეს პრეტენზიები მცდარი იყო, რაც ბრალდებულმა იცოდა, მაგრამ მაინც გამოთქვამდა, რათა უნდობლობისა და ბრაზის ინტენსიური ატმოსფერო შეექმნა და არჩევნების ადმინისტრირების მიმართ საზოგადოების რწმენა შეერყია“.

გამოდის, რომ ამერიკული სტანდარტით, საქართველოში დასაჭერი ყოფილა მთელი ოპოზიცია, ყველა ოპოზიციური ტელევიზიის ხელმძღვანელი და მდიდარი NGO-ების ყველა თავმჯდომარე. იგივეს ვერ შევკადრებთ ამერიკის ელჩს და ევროკავშირის მაშინდელ „ამერიკელ“ ელჩს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ქართველი ხალხის მოტყუება თავადაც სცადეს, ოპოზიციის ყალბი ბრალდებები არჩევნების გაყალბების შესახებ პოლიტიკურ კრიზისად მონათლეს და ამ ყველაფრის საფუძველზე, მმართველ პარტიას 19 აპრილის კაბალურ შეთანხმებაზე მოაწერინეს ხელი, – აღნიშნულია განცხადებაში.

# გიული ალასანია: „ყველა ადამიანი, ყველა მოქალაქე უნდა იყოს პოლიტიკური პროცესების მონაწილე“



– ყველა ადამიანი, ყველა მოქალაქე უნდა იყოს პოლიტიკური პროცესების მონაწილე – გამარჯვების ფორმულა არის თითოეული ადამიანის ჩართვა ამ პროცესში, – ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტის დედამ, გიული ალასანიამ განაცხადა, რითაც ე.წ. გამარჯვების კამპანია და მოსახლეობასთან შეხვედრების დაწყების ინიციატივა შეაფასა.

როგორც ალასანიამ აღნიშნა, ხალხთან ურთიერთობა აუცილებელია.

– ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის მთავარი. აუცილებელია ხალხთან ურთიერთობა. ნამდვილი დემოკრატია ეს არის. ყველა ადამიანი, ყველა მოქალაქე უნდა იყოს პოლიტიკური პროცესების მონაწილე, მათ უნდა ვკითხოთ, რა უნდათ. წლებია ვადევნებ თვალს სოფო ჯაფარიძის საქმიანობას და ძალიან მომწონს, იმიტომ, რომ ყოველთვის იმას აკეთებს, რაც ხალხს სჭირდება. ახლაც რომ დადის ამ 45 გრადუს სიცხეში და ხვდება ადამიანებს და მათ აზრს ეკითხება, ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, – აღნიშნა ალასანიამ.

კითხვაზე, შეგვიძლია ვთქვათ თუ არა, რომ მიხეილ სააკაშვილი საარჩევნო კამპანიაში ერთვება, გიული ალასანია ასე პასუხობს: „არ ვიცი საარჩევნო კამპანიაში რამდენად ერთვება, მაგრამ აქ რომ არის მთელი სულითა და გულით, ამას ვხედავ“.

რაც შეეხება მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას, როგორც ყოფილი პრეზიდენტის დედამ აღნიშნა, მისი შვილი კვლავ სუსტადაა და გადაადგილება უჭირს.

– ჯანმრთელობა ისევ იგივე – სისუსტე. ახალს ვერაფერს გეტყვით. უჭირს ფეხზე დგომა, გადაადგილება. სასიცოცხლო მაჩვენებელი დაბალია, – განაცხადა ალასანიამ.

ცნობისთვის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრმა, სოფო ჯაფარიძემ განაცხადა, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სახელით მოსახლეობასთან შეხვედრებს იწყებს. როგორც ჯაფარიძე აღნიშნავს, ის შეხვედრებს მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართავს.

# სიცრუის მანქანა სრული დატვირთვით მუშაობს

რუსეთ-უკრაინის ომი სულ უფრო სისხლიანი და დაუნდობელი ხდება. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა ჩერნიგოვზე რუსების სარაკეტო შეტევის დროს. ერთი რუსული რაკეტა დრამატულ თეატრს დაეცა, მეორე მთავარ მოედანზე ეკლესიის მახლობლად აფეთქდა. მიზნები შემთხვევით არ იყო შერჩეული. ორივე ადგილას ხალხმრავლობაა ხოლმე. რუსებმაც ამით ისარგებლეს და თავიანთი სარაკეტო შეტევა განახორციელეს. შედეგიც სახეზეა – დაიჭრა 45 ადამიანი, დაღუპა 11, აქედან 5 ბავშვია.

რუსულმა პროპაგანდამ დაღუპული ბავშვები „ტერორისტებად“ მონათლა. სინამდვილეში, ჩერნიგოვზე დარტყმა წარმოადენდა შურისძიების აქტს ფრონტებზე განცდილი დამარცხებებისათვის.

დღეისათვის უკრაინის გენშტაბის ცნობით, ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 4.346; საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 8.435; თვითმფრინავები – 315. განადგურებულია – 257.470 ოკუპანტი.

ომმა უკვე ნაგატიური გავლენა იქონია რუსეთის ეკონომიკაზე. ვლადიმერ პუტინის აღიარებით, რუბლი ძლიერ დაეცა. რუბლის დოლართან შეფარდება უკვე 1:100-ზეა. ომის გახანგრძლივებასთან ერთად რუსული ეკონომიკის ვარდნაც გაძლიერდება. მიუხედავად ამისა, რუსული პროპაგანდა ამტკიცებს, რომ რუსეთის ეკონომიკა ყვავის, რუბლიც გაძლიერდა, ხოლო დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში კი კრიზისიაო. ასე მაგალითად, რტრ-მა შემდეგი ინფორმაცია გადასცა:

– საფრანგეთში საშინელი სიძვირეა! საპარიკმახეროებშიც კი უზარმაზარი რიგებია!

დაკვირვებული თვალი უმალ მიხვდება, რომ საქმე გვაქვს უხეშ ტყუილთან. იქ, სადაც სიძვირეა, რიგები არ არის. ასე იყო სსრკ-ში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. იმხანად მაღაზიებში, სადაც ჰალსტუხებს ჰყიდდნენ, ძალიან ცოტა ხალხი იყო. მიზეზი მარტივია. მოსახლეობას პურის ფული არ ჰქონდა. ჰალსტუხებისათვისაც არავის ეცალა.

რუსეთი ფრონტებზე მარცხდება. სიცრუის მანქანა კი მთელი დატვირთვით მუშაობას განაგრძობს.

სამართალი

# საცხოვრებელი კორპუსიდან ახალგაზრდა კაცი გადავარდა

თბილისში, საცხოვრებელი კორპუსიდან 30 წლამდე ასაკის კაცი გადავარდა, შემთხვევა 19 აგვისტოს მოხდა.

– უფ, ძალიან მეწყინა. როგორ გაიმეტე უფალო... ეს რა უბედურება ხდება. ისევ ახალგაზრდა. დახატული. სიცოცხლით გაუმაძღარი. სიტყვები უძლურია. რით დაგამშვიდოთ... ნათელში იყავი ოჯახის საფიცარო, ლამაზო ბიჭო. რატომ ღმერთო. დღეს ფერისცვალებააა, – წერს ოჯახის ახლობელი სოციალურ ქსელში.

# რა არის კლინიკური სიკვდილი



კლინიკური სიკვდილი არის კვდომის პროცესის ბოლო ეტაპი. რუსი ექიმის, ვ.ნეგოვსკის განმარტებით, „კლინიკური სიკვდილი ჯერ არ არის სიკვდილი და უკვე არ არის სიცოცხლე".

„კლინიკური სიკვდილი" სუფთა კლინიკური ტერმინია და ხასიათდება სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის შეჩერებით, რეფლექსების არარსებობით. თუმცა, ეს ერთი შეხედვით. არსობრივად კი იგი იწყება თავის ტვინისთვის სისხლის (უფრო ზუსტად, ჟანგბადის) მიწოდების შეწყვეტისთანავე, რა გზითაც უნდა იყოს იგი მიღწეული. თუ რატომ ტვინისთვის, აქვე განგიმარტავთ. ორგანიზმის სხვადასხვა უჯრედს თავისი ფუნქციური მნიშვნელობის, ენერგეტიკული დატვირთვისა და ონტოფილოგენეზური წარმოშობის მიხედვით გააჩნია ჟანგბადის ნაკლებობისადმი სხვადასხვა რეზისტენტობა. ყველაზე დაბალი რეზისტენტობით ხასიათდება თავის ტვინის ქერქის უჯრედები.

კლინიკური სიკვდილის ხანგრძლივობა ისაზღვრება ვადით, რომლის დროსაც თავის ტვინის უმაღლეს ფუნქციურ ზონებს (ქერქი და ქერქქვეშა სტრუქტურები) შეუძლიათ შეინარჩუნონ სიცოცხლისუნარიანობა ანოქსიის (უჟანგბადობის) პირობებში. სხეულის ნორმალური ტემპერატურის შემთხვევაში იგი გრძელდება 5-6 წუთი. მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ ადამიანის „გაცოცხლება" შესაძლებელია, მაგრამ ვიღებთ დეკორტიკაციას (ქერქის სიკვდილი), რომლის შედეგია ვეგეტატური მდგომარეობა (ადამიანი-მცენარე). თუ შეიქმნა ისეთი პირობები, რომლის დროსაც უჯრედის მოთხოვნილება ჟანგბადზე კლებულობს, კლინიკური სიკვდილი შეიძლება გაგრძელდეს ათეულობით წუთი და რეანიმაციული ღონისძიებები აღმოჩნდეს გაცილებით ეფექტური. იგი ხანგრძლივდება ჰიპოთერმიის დროს. რამდენიმე წლის წინ ნორვეგიაში ბავშვი ჩავარდა მდინარეზე ყინულის ქვეშ. მისი ამოყვანა მოხერხდა მხოლოდ 40 წუთის შემდეგ. ექიმებმა შეძლეს სასიცოცხლო ყველა ფუნქციის სრული აღდგენა თავის ტვინის ფუნქციური დეფიციტის გარეშე.

თუ რეანიმაციული ღონისძიება არ ჩატარდა ან იგი აღმოჩნდა უშედეგო, დგება ბიოლოგიური (ჭეშმარიტი) სიკვდილი, რომელიც იწყება თავის ტვინის სიკვდილისთანავე და წარმოადგენს შეუქცევად პროცესს. საზღვარი კლინიკურ და ბიოლოგიურ სიკვდილს შორის მეტად ბუნდოვანია. მისი გარჩევა კი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალისტების საქმეა.

აგონია (ბერძ. ბრძოლა) ნებისმიერი დაავადების ბოლო ეტაპია, რომელიც ხასიათდება ყველა კომპენსატორული მექანიზმის გამოფიტვით და სამედიცინო ჩარევის გარეშე აუცილებლად გადავა კლინიკურ სიკვდილში. მისი ხანგრძლივობა მეტად ვარიაბელურია და შეიძლება გაგრძელდეს მყისიერებიდან დღეების განმავლობაში.

კომა (ბერძ. ღრმა ძილი) არის ნებისმიერი ფაქტორის მოქმედებით ტვინის დაზიანების შედეგად განვითარებული უგონო მდგომარეობა. კომის ბევრგვარი სახეობა არსებობს, ყველა მათგანს აერთიანებს ცნობიერების დარღვევა. თუ აგონია და კლინიკური სიკვდილი დადგა ტვინის პირველადი დაზიანების გარეშე, ადამიანი ხედავს სხვადასხვა ზმანებებს, რომლებიც უმეტესად სუბიექტური ხასიათისაა და მოკლებულია ობიექტურობას. მოვიშველიებ ერთი მართლმადიდებელი ავტორის სიტყვებს:

„ბოლო წლებში ხშირად იბეჭდება სტატიები და წიგნები, რომლებშიც აღწერილია სიკვდილის შემდგომი სიცოცხლის ფაქტები. უმთავრესად ესაა ე.წ. „კლინიკური სიკვდილის" შემთხვევები, რომლებიც ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით ასაბუთებენ საიქიო ცხოვრებას და სულის უკვდავების ჭეშმარიტებას, მაგრამ საქმე ისაა, რომ აღნიშნული პუბლიკაციების ავტორები (რაიმონდ მოუდი, ელიზაბეთ კუბლერ-როსი და სხვები) არამართლმადიდებლები არიან, ისევე, როგორც ის პაციენტები, რომელთა მონათხრობსაც ემყარება მათი დასკვნები, ამის გამო მიუხედავად იმისა, რომ სულის სხეულიდან გაყრის შემდგომი სიცოცხლის ფაქტებში, რასაკვირველია, ეჭვის შეტანა არ შეიძლება, იქ აღწერილი მოვლენები ერთი უმთავრესი ნიშნის გამო არასწორი, არაქრისტიანულია. კერძოდ, ყველა პაციენტი ლაპარაკობს იმაზე, რომ „იქ" საოცრად კარგად გრძნობდა თავს, რაც მართლმადიდებლური მოძღვრების თანახმად, სრული სიყალბეა და ეწინააღმდეგება საიქიო ცხოვრების შესახებ ეკლესიურ სწავლებას".

იმ პაციენტთა მონათხრობის დამთხვევა აიხსნება კლინიკური სიკვდილისას ტვინში განვითარებული ცვლილებებისა და ექიმების მიერ ჩატარებული პროცედურების მსგავსებით. კლინიკური სიკვდილის დროს ხომ არ წყდება კავშირი ადამიანის სენსორულ სფეროსა და გარემოს შორის. დაუზიანებელი გრძნობათა ორგანოები კვლავ აწვდიან ინფორმაციას ტვინს, რომელიც ანოქსიის პირობებში დამახინჯებულად აკეთებს მათ ანალიზს. ჩემს პრაქტიკაშიც არაერთხელ ყოფილა მსგავსი შემთხვევა. პაციენტებს, რომლებსაც კლინიკური სიკვდილი გულის ფიბრილაციის შედეგად განუვითარდათ, უმეტესად ლამაზი ზმანებები აქვთ. მახსოვს ერთი ხნიერი ქალბატონი ამ დაავადებით, რომელიც დიდი ძალისხმევით გამოიყვანეს მდგომარეობიდან სასწრაფო დახმარების ექიმებმა. იგი დღესაც გაბრაზებულია და „ვერ პატიობს" მათ, რომ სიმყუდროვე და სილამაზე დააკარგვინეს. ბიოლოგიური სიკვდილის ანუ მთლიანი ტვინის სიკვდილის დადგომისთანავე სული თავისუფლდება გვამის ტყვეობიდან. ამ დროს იწყება გარემოსა და სიტუაციის ობიექტური აღქმა სულიერ საგრძნობელთა მიერ და მარწმუნეთ, არცთუ საკამათო იქნება არსებული რეალობა. თუმცა, ეს საკითხი სცილდება ჩემს პროფესიულ საზღვრებს. ეს საკითხი სულიწმიდის მადლით დეტალურადაა მოთხრობილი მართლმადიდებელი მოძღვრების მიერ. აღწერილ შემთხვევებში კი უეჭველია, სული სხეულში იმყოფებოდა და მსგავსი მონათხრობი ანოქსიური ტვინის „ფანტაზიის ნაყოფი" იყო.

კლინიკური სიკვდილიდან გამოსული პაციენტების მდგომარეობა დამოკიდებულია ანოქსიის ხანგრძლივობასა და ძირითად დაავადებაზე. კლინიკური სიკვდილის ყოველი შემდგომი დადგომისას კი გადარჩენის შანსი მკვეთრად კლებულობს. შეუცნობელია განგება ღვთისა. პავლე მოციქული ამბობს: „ჰოი, სიღრმე სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისაი, ვითარ გამოუძიებელ არიან განკითხვანი მისნი და გამოუკვლეველ არიან გზანი მისნი" (რომ.11,33). ჩვენი მოსვლა და წასვლა, სიცოცხლე და სიკვდილი, ღვთის ნებაა. ღმერთმა დაგვბადა, იგი გვფარავს ამქვეყნიური ცხოვრებისას და თითოეულისთვის განსაზღვრულ ჟამს მარადისობაში გადაგვასახლებს. ამგვარად ჩვენ: „გინა თუ ცხოველ ვართ, უფლისად ცხოველ ვართ. და გინა თუ მოვსწყდებით, უფლისა მიერვე მოვსწყდებით" (რომ. 14,8).

დაბოლოს, კლინიკური სიკვდილი ჩახლართული კვანძივითაა, გასარჩევად მეტად ძნელია (ეს საქმე პროფესიონალებს მივანდოთ). და თუ ცხონება გვწადია, ხელთ ვიპყრათ ქრისტეს მახვილი და რწმენით გავლიოთ ხანმოკლე უსასრულობა, რომ „ასი წლის შემდეგ" სხეულისგან თავისუფალი სულის მიერ დანახული რეალობა არ იყოს შემაძრწუნებელი.

## სამართალი

### რუსთავში 35 წლამდე მამაკაცი ქალის ბინაში შეიპარა და გაუპატიურება სცადა



„ინფო რუსთავის" ინფორმაციით, შარტავას ქუჩის მიმდებარედ 35 წლამდე მამაკაცი, 30 წლამდე ქალის ბინაში შეიპარა და მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება ძალადობით სცადა.

არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა ქალმა კაცს წინააღმდეგობა გაუწია და პოლიციას მიმართა.

სამართალდამცველებმა ახალგაზრდა კაცი დააკავეს. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

### თბილისის აეროპორტში ბრაზილიის მოქალაქე დააკავეს



შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემოტანის ფაქტი აღკვეთეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, საბაჟო გამშვებ პუნქტში „თბილისის აეროპორტი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით, ნარკოტიკული ნივთიერება „კოკაინი" აღმოაჩინეს.

საბაჟო კონტროლის ფარგლებში, სგპ – „თბილისის აეროპორტის" უფლებამოსილმა მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე (არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ საზღვრის გადამკვეთი მგზავრი სხეულში ან სხეულზე – მალავდა საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ საქონელს) ბრაზილიის მოქალაქის მიმართ (ა.მ.) ინდივიდუალური გასაუბრების, ასევე კუთვნილი ხელბარგის, ფიზიკური და სხეულის რენტგენო ინსპექტირების სკანერით დეტალური დათვალიერების შედეგად, 125 შეკვრად დაფასოებული, 1 კილოგრამი და 352 გრამი ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი" აღმოაჩინეს.

საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს გადაეცა.

## სასარგებლოა, იცოდეთ



**სოიო** – სიცოცხლისთვის აუცილებელ ყველა ამინომჟავას შეიცავს. სასარგებლოა გასტრიტის დროს, როცა მჟავიანობა მომატებულია. სოიოს ფქვილი სასარგებლოა შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის. მედიცინაში სოიოს ფქვილს იყენებენ ცენტრალური ნერვული სისტემის მასტიმულირებელი პრეპარატების დასამზადებლად. ავსტრიაში სოიოს ფქვილს ტურბერკულოზით დაავადებულთათვის იყენებენ. სოიოს ფქვილი შემადგენლობით დედის რძეს უახლოვდება, ამიტომ ბავშვთა კვებაში თითქმის შეუცვლელ პროდუქტად ითვლება.



**კვახი** – გულსისხლძარღვთა, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, ჭარბი წონის, ღვიძლისა და თირკმლის დაავადებების დროს კვახის დიეტა შესანიშნავ შედეგს იძლევა. აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას. კვახის წვენი აწყნარებს ნერვულ სისტემას, წმენდს ორგანიზმს. განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვისაც ბოტკინის დაავადება აქვს გადატანილი. კვახი შეგიძლიათ უმი სახითაც მიირთვათ, იგი სასარგებლოა ქოლეცისტიტის, კოლიტის, სიმსუქნის დროს.



**მზესუმზირა** – ზეთი უჯერ ცხიმოვან მჟავებს შეიცავს. იგი აწესრიგებს ორგანიზმში ქოლესტერინის ცვლას, ხასიათდება ანტისკლეროზული მოქმედებით. მზესუმზირის ყვავილების სპირტხსნარი გამოიყენება გრიპის და ზედა სასუნთქი გზების კატარის დროს. მზესუმზირის ახალი თესლი რეკომენდებულია ალერგიის, ბრონქიტის დროს. მზესუმზირას ახასიათებს სიმსივნის საწინააღმდეგო თვისებები.



**ბოლოკი** – ხველის, ყივანახველის, თირკმელისა და შარდის ბუშტის ანთებითი და კენჭოვანი დაავადებების საწინააღმდეგო საშუალებად ითვლება. გამოიყენება, როგორც ჭრილობების შესახორცებლად, ნევრალგიების დროს. ჭორფლის მოსაშორებლად სუფთა კანზე წაისვით მკვებავი, შემდეგ კანზე დაიდეთ ბოლოკის ნაჭერი ნახევარი საათის განმავლობაში. შემდეგ კანი გრილი რძით გაიწმინდეთ.

**ხახვი** – საუკეთესო საშუალებაა ჰიპერტონული დაავადებების დროს. ხახვის წვენი და თაფლი შეურიეთ თანაბარი რაოდენობით და გამოიყენეთ მწვავე რესპირატორული დაავადების, ანგინის, ქრონიკული ტონზილიტის დროს. ხახვის წვენი კარგია სტომატიტის დროს პირში გამოსავლებლად. თმის ცვენის დროს ხახვის წვენს თმის ძირებში იზელენ.

## კალეიდოსკოპი

### ძაღლმა პატრონის ქორწილი ჩაშლის საფრთხის ქვეშ დააყენა



აშშ-ის ქალაქ ბოსტონში მცხოვრები მამაკაცის ოქროსფერმა რეტრივერმა პატრონის ქორწილამდე, რომელიც საზღვარგარეთ უნდა გაიმართოს, ორი კვირით ადრე მისი პასპორტი დააზიანა.

დონატო ფრატაროლისა და მისი 31 წლის შეყვარებულის ქორწილი 31 აგვისტოსთვის არის დანიშნული და ის იტალიაში უნდა გაიმართოს. სიძე-პატარძალმა ქორწილში უამრავი სტუმარი დაპატიჟა, თუმცა, ის ჩაშლის საფრთხის წინაშე დააყენა სიძის ძაღლმა სახელად ჩიკიმ. როდესაც შეყვარებულები 14 აგვისტოს ქალაქის მერიაში იმყოფებოდნენ საბუთების მოსაგვარებლად, სახლში დარჩენილმა ძაღლმა, როგორლაც პატრონის პასპორტს მიაგნო, დაღრღნა და საბუთი გააფუჭა. მამაკაცის თქმით, მას პასპორტის აღდგენაში კონგრესმენ სტივენ ლინჩისა და სენატორ ედ მაკის ოფისების თანამშრომლები ეხმარებიან. მათ მისი მდგომარეობა გულთან ახლოს მიიტანეს და დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს. თუმცა, ამ ყოველივეს მიუხედავად, მაღალი თანამდებობის პირებიც კი ვერ იძლევიან იმის გარანტიას, რომ ფრატაროლი საბუთს დროულად მიიღებს.

იმ შემთხვევაში, თუ ფრატაროლი და მისი საცოლე იტალიაში ჩასვლას ვერ შეძლებენ, მაშინ ქორწილი აშშ-ში შედგება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.
**მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ:** რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებზე დღეში ორჯერ.

## მალამო მენტორი ხუთი

**საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, საოჯახო გამოცდილების, ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისაგან დამზადებული მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ:** ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების სამკურნალოდ, მკურნალობისას ამცირებს სისხლის კოაგულაციას, ამაგრებს კაპილარებს და ვენების კედლებს, თავიდან აცილებს სისხლძარღვებში თრომბის წარმოქმნას და ხელს უწყობს წარმოქმნილი თრომბების შეწოვას. მკურნალობისას ავადმყოფს უმცირდება შეშუპება, ტკივილი, თანდათან ქრება თრომბები. მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში.

## სპრეი მენტორი 7

გრიპის, გაცივების სამკურნალო საშუალება ცხვირის არხებში შესასხურებელი წამალი სპრეი მენტორი შვიდი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო, ეფექტური, სამკურნალო საშუალებაა. სამკურნალო წამალი გამოიყენება სასუნთქი გზების დაავადებების ლარინგიტის, ტრაქეიტის, კატარალური და ჩირქოვანი ბრონქიტის აბცესისა და ფილტვის განგრენის დროს, აგრეთვე ჭრილობების, კანზე გამონაყარის და წყლულების მოსაბანად, კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებების დროს, სისხლძარღვებში შემავიწროებელი ანთების საწინააღმდეგოდ. კარგად უნდა გავათავისუფლოთ ცხვირის არხები გამონადენისგან, სპრეი შევისხუროთ ცხვირის არხებსა და ყელში. მკურნალობისას ნახველი თხელდება და ამოდის ბრონქებიდან, უმჯობესდება სუნთქვა.

ტელ: 599-73-48-21; 598-73-48-21.



## ამერიკელი რესპუბლიკელები ტრამპის ალტერნატივას ეძებენ

ამერიკელი რესპუბლიკელები უკვე ემზადებიან 2024 წლის არჩევნებისათვის და ტრამპის ალტერნატივას ეძებენ. ამის თაობაზე განაცხადა ლაუდერმა.

ექსპერტების აზრით, ტრამპის ალტერნატივა შეიძლება გახდნენ რესპუბლიკური პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლები კემპი და დოიგიკი. მოსალოდნელია, რომ უკვე პრაიმერში ისინი წამოაყენებენ თავიანთ კანდიდატურებს.

## მშვიდობის ფორმულის უკრაინულ ვარიანტს უკვე 63 ქვეყანა შეუერთდა



მშვიდობის ფორმულის უკრაინულ ვარანტს უკვე 63 ქვეყანა შეუერთდა. ამის შესახებ განაცხადა პრეზიდენტმა ზელენსკიმ. თავად მშვიდობის ფორმულა მოიცავს შემდეგს:

1) უკრაინის რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა (რუსების გასვლა ატომური ელექტროსადგურების ტერიტორიებიდან);

2) სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

3) ენერგეტიკული უსაფრთხოება (უკრაინის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის უზრუნველყოფა);

4) ყველა ტყვისა თუ უკანონოდ დეპორტირებულის გაცვლა ფორმულით – ყველა ყველაზე;

5) გაეროს სტატუსის შესრულება და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;

6) საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა და რუსეთის ჯარის გაყვანა უკრაინიდან;

7) სპეციალური ტრიბუნალის შექმნა უკრაინაში რუსეთის დანაშაულებების გამოძიებისათვის;

8) ომის შემდგომი ესკალაციის არდაშვება;

ფორმულას უკვე მხარი დაუჭირეს აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, იაპონიამ, ჰოლანდიამ და ა.შ.

## უკრაინაში საომარი მოქმედებები გრძელდება



უკრაინაში საომარი მოქმედებები გრძელდება. რუსი ოკუპანტები განაგრძობენ შეტევებს კუპიანსკისა და სვატოვოკრემენოეს მიმართულებით. ეს იერიშები წარუმატებელია.

უკრაინული არმია, თავის მხრივ, განაგრძობს წარმატებული ოპერაციების განხორციელებას ბახმუტის მახლობლად, სადაც გაათავისუფლეს კიდევ რამდენიმე დასახლებული პუნქტი. გრძელდება ოპერაციები ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქში. აქ უკრანელებმა კიდევ რამდენიმე სოფელი დაიკავეს და ე.წ. რუხი ზონები გააფართოეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## სირაქლემა ჟირაფს თავს დაესხა და პასუხად მისგან წიხლი მიიღო



ამერიკის ქალაქ სენტ-ლუისის ზოოპარკში ერთმანეთს სირაქლემა და ჟირაფი დაუპირისპირდნენ.

ცხოველების ჩხუბი თვითმხილველმა ვიდეოზე გადაიღო. კადრებში ჩანს, თუ როგორ მიდის სირაქლემა მასთან ერთად ვოლიერში მყოფ ჟირაფთან და მუქარის ნიშნად ფრთებს იქნევს. პასუხად კი მეტოქისგან უკანა კიდურით დარტყმას იღებს და ნოკაუტში ვარდება. გარკვეული დროის შემდეგ სირაქლემამ, რომელიც, როგორც ჩანს, დამარცხებას ვერ შეეგუა, ისევ შეუტია ჟირაფს, მაგრამ, როდესაც მისკენ შეტრიალებული მეტოქე დაინახა, პანიკამ მოიცვა, გაქცევას შეეცადა და ქვის კედელს შეასკდა.

ცხოველების დაპირისპირების ამსახველი ვიდეო ტეხასელმა მოსამართლემ დევიკ სეტმა გადაიღო, რომელიც რამდენიმე დღით ოჯახთან ერთად მისურის შტატში იმყოფებოდა და ადგილობრივი ზოოპარკის დათვალიერება გადაწყვიტა.

## ფარშევანგებმა ქალაქის მდიდრული გარეუბანი დაიპყრეს



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამის მდიდრული გარეუბნის მცხოვრებლები ფარშევანგების შემოსევას უჩივიან.

ფარშევანგები გარეუბან პაინკრესტს მას შემდეგ შეესივნენ, რაც შტატის სამხრეთ ნაწილში ახალი საცხოვრებელი კვარტლების მშენებლობა და მწვანე ნარგავების რაოდენობის შემცირება დაიწყო. ღამის საათებში გარეული ფრინველები შემაწუხებელი ყრანტალით აშინებენ მოსახლეობას, ქუჩაში გაჩერებულ ავტომობილებს უნისკარტებენ და ყველგან ისაქმებენ.

აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად, ადგილობრივი ხელისუფლება მამალი ფარშევანგების სტერილიზებას აპირებს. ვეტერინარი ექიმის დონა ჯ. ჰარისის თქმით, რომელიც აღნიშნული პროცედურების ჩასატარებლად იქნა მიწვეული, ასეთმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა კარგი ეფექტი მოახდინოს ხანგრძლივ პერსპექტივაში, ვინაიდან ერთ მამალ ფარშევანგს უამრავი დედლის განაყოფიერება შეუძლია. მან ასევე აღნიშნა, რომ პაინკრესტში ფარშევანგების რაოდენობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.

## ხარმა მატადორი რქაზე უკანალით წამოაგო



ესპანეთში კორიდის დროს ხარმა მატადორი მაყურებელთა თვალწინ რქაზე წამოაგო და უკანალი დაუზიანა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ანდალუსიელი 28 წლის მატადორი ალეხანდრო კონკერო მადრიდის მახლობლად მდებარე არენაზე გამოსვლის დროს დაშავდა. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ ის შვეულმფრენით საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. ექიმებმა მატადორს სწორი ნაწლავის დაზიანება დაუდგინეს.

სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ იქცევს ხარის ყურადღებას მატადორი ვარდისფერ-ყვითელი ლაბადით. რაღაც მომენტში ის ცხოველს უახლოვდება, რომელიც მოულოდნელად მას უტევს და შემდეგ ჰაერში ისვრის. როდესაც მატადორი მიწაზე ეშვება, ხარი მას ისევ უტევს და რქებს ფეხებს შორის ურტყამს. ამ დროს შეშინებული მაყურებლების ყვირილის ხმა ისმის.

აღსანიშნავია, რომ ალეხანდრო კონკერო ცნობილი მატადორის ხოსე კონკეროს შვილია, რომელიც „უელველი ქარიშხალის“ მეტსახელით იყო ცნობილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სპორტი**

## საქართველოს ნაკრები იაპონიაში ვარჯიშს აგრძელებს და დღეს ითამაშებს



საქართველოს ნაკრების მეორე იაპონური დღე პირველის ანალოგი იყო. გუნდი ოკინავა არენის სატრენაჟორო დარბაზში ირაკლი შიოშვილმა ავარჯიშა, რის შემდეგაც კალათბურთელებმა გიმნაზიუმ არენაში გადაინაცვლეს და ხანგრძლივი, 2-საათიანი ვარჯიში ჩაატარეს.

ვარჯიშისას ძირითადი აქცენტი მოახლოებულ მატჩებში გასათამაშებელ კომბინაციებს, დაცვით ტაქტიკებსა და სხვადასხვა საკალათბურთო მანევრებს დაეთმო.

ნაკრების ყველა წევრმა სრული დატვირთვით ივარჯიშა, მათ შორის გოგა ბითაძემ, რომელსაც იაპონიაში წასვლამდე შეკრებაზე ტრავმა აწუხებდა.

**გოგა ბითაძე:**

– თავს კარგად ვგრძნობ. ვფიქრობ, რომ 100%-თან ძალიან ახლოს ვარ. ძალიან კარგად ვემზადებით და ავსტრალიასთან მატჩისთვის მაქსიმალურად მზად ვიქნებით. ავსტრალია ამ ჩემპიონატზე შემადგენლობით ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, მაგრამ ვფიქრობ, გვჭირდება ეს თამაში და ჩვენთვის ძალიან კარგი ტესტი იქნება. რა თქმა უნდა, მოსაგებად უნდა გავიდეთ და ვენესუელასთან მატჩამდე დაგვეხმარება.

**დუდა სანაძე:**

– ძალიან პროდუქტიული ვარჯიშები გვაქვს. ჯერჯერობით, ვეჩვევით იაპონიის დროს, რადგან საქართველოსთან დიდი განსხვავებაა, ვფიქრობ, რომ ავსტრალიასთან მატჩისთვის მზად ვიქნებით. გუნდში მოტივაცია მაღალია, საბრძოლოდ ვართ განწყობილნი და ველოდებით ამ თამაშს, რომ ჩვენი სტილი საბოლოოდ დავხვეწოთ.

ამასობაში, ფიბამ სანაკრებო რეიტინგი განაახლა. ცხადია, პირველ ადგილზე ამერიკელები არიან, მეორეზე საფრანგეთის ნაკრებია, ხოლო მესამე ადგილზე ავსტრალიამ აინაცვლა, რომელსაც საქართველოს ნაკრები 22 აგვისტოს ეთამაშება.

ფრანგთა და ავსტრალიელთა წინსვლა ესპანელთა ვარდნამ გამოიწვია. მოქმედი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი წინა კვირასთან შედარებით 4 ადგილით დაქვეითდა და ამჟამად მეექვსე პოზიციაზე იმყოფება.

საქართველოს ნაკრებმა 23-ე პოზიცია შეინარჩუნა. მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე ჩვენი მეტოქეების რეიტინგი კი ასეთია: სლოვენია (4), ვენესუელა (24), კაპო ვერდე (31).

2023 წლის მსოფლიო ჩეპიონატი 25 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით ჩატარდება, მასპინძლები ფილიპინები, იაპონია და ინდონეზია არიან. ტურნირში მონაწილეობას 32 ნაკრები მიიღებს, რომლებიც 8 ოთხგუნდიან ჯგუფში გადანაწილდნენ.

ფ ჯგუფის მატჩები, რომლებიც იაპონიის ქალაქ ოკინავაში ჩატარდება, ქართველი კალათბურთელები მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად ორ საუკეთესო ნაკრებს შორის უნდა მოხვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თამაშს 17-32 ადგილებისთვის გააგრძელებენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**კალეიდოსკოპი**

## მეეზოვე ქალმა ქუჩაში ნაპოვნი სამკაულები პატრონს დაუბრუნა



ტაილანდის პროვინცია პხეტჩაბუნში, მეეზოვე ქალმა ქუჩაში დაახლოვებით 200 ათასი ბატის ღირებულების ოქროს სამკაულები იპოვა და მათ მფლობელს დაუბრუნა.

14 აგვისტოს დილით ადრე 55 წლის რატრი ჩუმვონი ქუჩაში მუშაობდა, როდესაც ერთ-ერთი სახლის მახლობლად მრგვალი ფორმის ზარდახშა შენიშნა. ქალი არ შეუდგა იმის გარკვევას, თუ რა იდო სამკაულებისთვის განკუთვნილ ზარდახშაში, თუმცა, მიხვდა, რომ მასში შესაძლოა ძვირფასი სამკაულები ინახებოდა. რატრიმ ჩათვალა, რომ ნივთი იმ სახლის პატრონს ეკუთვნოდა, რომლის მახლობლადაც ის იპოვა. მან ზარდახშა პლასტიკატის კონტეინერში დამალა და სახლის პატრონის გაღვიძებას დაელოდა.

რამდენიმე საათი გავიდა, თუმცა, სახლიდან არავინ გამოსულა. მაშინ მეეზოვემ დახმარებისთვის იქვე ახლოს მდებარე რესტორნის მფლობელს მიმართა. მან ზარდახშა გახსნა და მასში ოქროს ყელსაბამი, ოქროს სამაჯური და ოქროს ჩარჩოში ჩასმული ამულეტი აღმოაჩინა.

რესტორნის პატრონთან ერთად ქალმა ნაპოვნი ძვირფასეულობა პოლიციის განყოფილებაში მიიტანა. პოლიციის თანამშრომლებმა სამკაულების პატრონთან, 31 წლის მამაკაცთან, სახელად იტიფონთან დაკავშირება მოახერხეს, რომელმაც დაადასტურა, რომ აღნიშნული სამკაულები ნამდვილად მას ეკუთვნოდა.

იტიფონის თქმით, ის ცოტა ხნის წინ წვეულებაზე იმყოფებოდა, ამიტომ მოიხსნა სამკაულები, ზარდახშაში ჩააწყო, რომელიც შემდეგ ჩანთაში შეინახა. მისი აზრით, ზარდახშა, სავარაუდოდ, ჩანთიდან იმ დროს ამოუვარდა, როდესაც სახლის კარს აღებდა. მან მეეზოვე ქალს დიდი მადლობა გადაუხადა პატიოსნებისთვის.

## ბაბუინებზე მონადირე ლეოპარდი მათ ნადავლად იქცა



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ბაბუინები თავს დაესხნენ ლეოპარდს, რომელიც მათზე ნადირობდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო იუთუბზე გამოქვეყნდა.

აღნიშნული ვიდეოს ავტორი რიკი ფონსეკა ავტომობილით გადაადგილდებოდა, როდესაც გზის პირზე ლეოპარდი შენიშნა, რომელიც მაიმუნებზე ნადირობას აპირებდა. მამაკაცმა მისი გადაღება გადაწყვიტა. ვიდეორგოლის დასაწყისში მტაცებელი ცხოველი გზის გასწვრივ გადაადგილდება და ცდილობს მსხვერპლს, რომელიც გზის პირთან ასფალტზე ზის, ფრთხილად მიეპაროს. ლეოპარდი ნახტომს აკეთებს, რასაც ბაბუინების შეშინებული ღრიალის ხმა მოჰყვება. თუმცა, გაქცეული მაიმუნები მალე მიხვდნენ, რომ რიცხობრივი უპირატესობა მათ მხარეს იყო და ჯოგის ლიდერი ლეოპარდს თავს ესხმის, მას კი კვალდაკვალ სხვა ბაბუინებიც მიჰყვნენ და მტაცებელს თავს დაესხნენ. მაიმუნებმა ლეოპარდი მიწაზე გააკრეს და ფეხზე წამოდგომის საშუალებას არ აძლევდნენ. პანიკაში ჩავარდნილმა მტაცებელმა ძალები მოიკრიბა, წამოხტა და დიდი გაჭირვებით მოახერხა გაქცევა. თავი მაღალ ბალახებს შეაფარა, თუმცა, მაიმუნებს მისი დევნა არ შეუწყვეტიათ.

ვიდეოს ავტორი ნანახმა ძალზე გააოცა და ეს კადრს მიღმა მის წამოძახილებშიც კარგად აისახება. აღნიშნულმა ვიდეორგოლმა რამდენიმე დღეში 300 ათასზე მეტი ნახვა და 500-ზე მეტი კომენტარი მოაგროვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სამართალი**

## გორის გვირაბთან ერთმანეთს ორი სატვირთო შეეჯახა

გორის გვირაბთან ერთმანეთს ორი სატვირთო ავტომობილი შეეჯახა. ინფორმაციას IPN ავრცელებს და წერს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის გამო, მაგისტრალზე საავტომობილო მოძრაობა შეფერხებული იყო.

## განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან განმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან განმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის განმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# გეგუჩაძემ ბათუმი დატოვა, თელავმა — გასავარდნი ზონა

**დინამო (ბთ)-სამტრედია 1:1**

**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

0:1 ხაიბულაევი (70), 1:1 ფლამარიონი (90)

**დინამო:** კვასხვაძე, ჩაბრაძე (თ.ფაცაცია 72), ქაფიანიძე, ბალიჩი, ხარაბაძე, მამუჩაშვილი, ტეიდი (იაკობსენი 84), წიტაიშვილი (ლუდუშაური 61), ბიძინაშვილი (ზარია 46), ფლამარიონი, ვაწაძე (თ.კაპანაძე 61)

**სამტრედია:** ლომიძე (ხარატიშვილი 80), ი.ახვლედიანი, აბულაძე, ბოჭორიშვილი, უბილავა, პავიშიჩი, ხმალაძე, მიშოვი (თ.ახვლედიანი 85), ხაიბულაევი, ნაჭყებია, დ.კირკიტაძე (ინჯგია 65)

**გაძევება:** ხაიბულაევი (90)

ბოლოსწინა ადგილზე მყოფი სამტრედია ძალიან ახლოს იყო, რომ ლიდერთან სამი ქულა აეღო. საბოლოოდ, ფრე – 1:1.

70-ე წუთზე სამტრედიელთა აზერბაიჯანელმა შემტევმა აბდულა ხაიბულაევმა ოსტატურად გაიტანა. საინტერესოა, რომ დაბადების დღე ჰქონდა, 22 წლის გახდა და ასე გოლით აღნიშნა. თუმცა, შეხვედრის ბოლოს მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და გააძევეს...

სამტრედია მსაჯის მიერ კომპენსირებულ მერვე წუთამდე იგებდა და ბრაზილიელმა ჟოვინო ფლამარიონმა არეულობაში ახლო მანძილიდან შეძლო გათანაბრება. ეს ფლამარიონის მე-14 გოლია მიმდინარე ეროვნულ ლიგაში და ერთი ბურთით უსწრებს იმრანს.

მატჩის შემდეგ გია გეგუჩაძემ ბათუმიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. მწვრთნელმა გადაწყვეტილება ფეხბურთელებს გასახდელში აცნობა. გეგუჩაძემ ფეხბურთელებს მიმართა, რომ ასეთ სიტუაციაში მუშაობის გაგრძელება შეუძლებელია.

თავად ბათუმელი გულშემატკივარი გეგუჩაძის გაშვებას ევროსარბიელზე წარუმატებელი თამაშის შემდეგ ითხოვდა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტმა არჩილ ბერიძემ მწვრთნელი სეზონის ბოლომდე დატოვა და განაცხადა, რომ თუ ჩემპიონები გახდებოდნენ, გეგუჩაძის მუშაობა წარმატებულად ჩაითვლებოდა.

საპასუხოდ, ზღვისპირელთა გულშემატკივართა კლუბმა „შავი ზღვის მეკობრეებმა" განცხადება გაავრცელეს – თუ გეგუჩაძე მწვრთნელის პოსტს არ დატოვებდა, ისინი გუნდის მატჩებს აღარ დაესწრებოდნენ. ასეც მოხდა – ბოლო ორ მატჩს ქომაგები არ ესწრებოდნენ. ახლა გეგუჩაძე წავიდა, იმედია, გულშემატკივრები ტრიბუნას დაუბრუნდებიან.

შეგახსენებთ, რომ გეგუჩაძე დინამოელებს 2018 წლის შემდეგ წვრთნიდა. 5 წლის მანძილზე მისი მონაგარი მხოლოდ ერთი ჩემპიონობა (2021) და ერთი სუპერთასია (2022).

**საბურთალო-დილა 1:2**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

1:0 სილა (10), 1:1 ანდრონიკაშვილი (32), 1:2 სარდალიშვილი (83)

**საბურთალო:** კუპატაძე, ც.კაპანაძე, გრაჩოვი, ჯგერენაია, ჯინჯოლავა (ციცქიშვილი 46), ქარდავა, კომახიძე, სილაგაძე (სიხარულიძე 86), ასკურავა (ო.მამაგეიშვილი 90), ლ.ნონიკაშვილი (გ.კოხრეიძე 86), სილა

**დილა:** კუჩერენკო, ჩიტეიშვილი, ზ.თევზაძე (ეტოუ 80), ძოწენიძე, სილვა, ანდრონიკაშვილი (ასამოა 89), სანტოსი, მზვაკალი, სარდალიშვილი, გომისი (ს.კუხიანიძე 72), კოვტალიუკი (გაფრინდაშვილი 80)

ცხრილის ზედა ნაწილში მყოფი გუნდების დაპირისპირება დაძაბული გამოდგა... საბურთალო იგებდა, მაგრამ საბოლოოდ დილამ იმარჯვა.

საბურთალო სწრაფი გოლით დაწინაურდა: მალელი შეიკნე სილა საჯარიმოში შევარდა და ცაციით ზუსტად დაარტყა. ეს სილას მე-11 გოლია მიმდინარე ეროვნულ ლიგაში.

დილამ პირველივე ტაიმში გაათანაბრა ალექსანდრე ანდრონიკაშვილის თავურით, ხოლო 83-ე წუთზე მიშიკო სარდალიშვილმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა სწორედ ანდრონიკაშვილის პასით. სარდალიშვილის მეშვიდე გოლია სეზონში და წინა ექვსი შუქურაში ჰქონდა გატანილი...

საბურთალო მეორე ადგილზე დარჩა, მაგრამ ლიდერთა ჯგუფში გუნდებს სხვადასხვა რაოდენობის მატჩები აქვთ და პოტენციურად, დილა წინაა.

**დინამო (თბ)-სამგურალი 5:2**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0 იმრანი (3), 2:0 მარუშიჩი (12), 2:1 კაგაიამა (42), 2:2 ნ.ხორხელი (61), 3:2 სხირტლაძე (72), 4:2 მარუშიჩი (74), 5:2 მარუშიჩი (90)

მე-7 წუთზე ნიკა კალანდარიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**დინამო:** ლორია, მალი, ხვადაგიანი, ა.კალანდაძე, კობოური (ლაკვეხელიანი 70), ხარაიშვილი, მექვაბიშვილი, იმრანი (ოსეი 58), ოდიშარია (სხირტლაძე 65), კამარა, მარუშიჩი



**სამგურალი:** შოვნაძე, ა.ვერულიძე, მაისაშვილი (პატარკაციშვილი 46), ქარიმოვი, ბული, ჩიხლაძე (დარცმელია 68), არტური, გომესი (ლ.ჩიხრაძე 79), კაგაიამა, კალანდარიშვილი (ნ.ხორხელი 60), ლ.ხორხელი

დინამო თბილისმა შინ 5:2 მოუგო წყალტუბოს სამგურალს. ეს ანდრეს კარასკოს მეორე მატჩი იყო დინამოელთა მწვრთნელის რანგში და გუნდმა ჯამში 11 გოლი გაიტანა... წინა ტურში 6:1 სძლიეს გაგრას.

სამგურალთან განსხვავებული თამაში გამოდგა და 72-ე წუთისთვის ფრე იყო. პირველივე წუთებზე ულადომარ იმრანმა ახლოდან დარტყმით გახსნა ანგარიში და სეზონში მე-13 გოლი გაიტანა.

სამგურალს რამდენიმე წუთში მიეცა გათანაბრების შანსი, მაგრამ ნიკა კალანდარიშვილმა პენალტი ვერ გაუტანა გიორგი ლორიას. 37 წლის ლორიამ ფეხით მოიგერია ბურთი. სამაგიეროდ, მალევე ზორან მარუშიჩმა 2:0 გახადა ანგარიში...

პირველ ტაიმში სამგურალმა ერთი მაინც გაიტანა, კერძოდ, იაპონელმა ტაიკი კაგაიამამ არეულობის შემდეგ ახლოდან შეაგორა ბურთი კარში. მეორე ტაიმში კი ნიკა ხორხელმა საშუალო მანძილიდან ახლო კუთხეში გაუტანა ლორიას და 2:2. ხორხელი მხოლოდ ერთი წუთის შესული იყო მინდორზე.

72-ე წუთი ვახსენეთ და სწორედ ამ დროს გაიტანა დინამომ მესამე გოლი. შეცვლაზე შესულმა დავით სხირტლაძემ მარუშიჩის პასის მერე ტექნიკურად შეასრულა.

ორ წუთში უკვე მარუშიჩმა მიითვალა გოლი სხირტლაძის პასით და 4:2. მატჩის ბოლოს კი სერბმა ფორვარდმა ჰეთ-თრიქი შეასრულა. მარუშიჩს 10 გოლი მოუგროვდა ეროვნულ ლიგაში.

დინამო თბილისი მეოთხედან მესამე ადგილზე გადავიდა. ახლა სამგურალია მეოთხეზე...

**ტორპედო-გაგრა 4:1**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

1:0 არაბიძე (19პ), 2:0 ბულრიძე (44), 2:1 გოგლიჩიძე (49სკ), 3:1 არაბიძე (66), 4:1 ფანცულაია (88პ)

**ტორპედო:** კლიაიჩი, ქობულაძე, მონტეირო, გოგლიჩიძე, შერგელაშვილი, აკბარი (გიგაური 84), ნეტო (მანჯგალაძე 75), ბულრიძე (ნინკოვიჩი 84), არაბიძე, ჰაიდარი (კაიკე 46), კაბალიერო (ფანცულაია 75)

**გაგრა:** ბედიაშვილი, ხოსიტაშვილი, ლ.ნოზაძე, კოზლენკო, მამაცაშვილი, ხომუტოვი (ჟორდანია 64), კაკაშვილი, კლოდინი (ლომთაძე 75), შონია (ბეგლარიშვილი 75), მარკონდელე (ნემსაძე 75), შონგა (შუბითიძე 84)

**გაძევება:** ნოზაძე (63)

ქუთაისის ტორპედომ ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო და ცდილობს, ზედა ხუთეულს დაეწიოს. ჩამორჩენა კი, უკვე დიდი აღარაა. გაგრა კი მერვე ადგილზეა.

პირველ ტაიმში ჯერ გიორგი არაბიძემ გახსნა ანგარიში პენალტით, მერე კი ირაკლი ბულრიძემ ახლო მანძილიდან კუთხეში ზუსტად დაარტყა – 2:0.

მეორე ნახევრის დასაწყისში გაგრას ბრაზილიელი ლეგიონერის, კლაუდინეის დარტყმის შემდეგ ბურთი საბა გოგლიჩიძეს მოხვდა და სხვაობა ერთ ბურთამდე შემცირდა.

თუმცა, მალევე გაგრას ორი გაფრთხილების გამო ლუკა ნოზაძე გაუძევეს და ტორპედომაც უპირატესობა გამოიყენა. ჯერ ისევ არაბიძემ გაიტანა ლამაზი გოლი, ბოლოს კი გიორგი ფანცულაიამ პენალტის უფლება მოიპოვა და თავადვე ზუსტად დაარტყა – 4:1.

**შუქურა-თელავი 0:2**

**თბილისი. ილია ჯოჯაიას ცენტრი**

0:1 მენიხი (4), 0:2 მორჩილაძე (58)

**შუქურა:** კულუა, კვარაცხელია, ჩაკვეტაძე (კამლაძე 73), ასათიანი, ანანიძე (ქიმაძე 61), აფხაზავა (რობაქიძე 46), ჯანელიძე, გაზდელიანი, ბ.ვერულიძე (ლ.ლორთქიფანიძე 73), ღირდალაძე (გოგოლაშვილი 61), მუჯირი

**თელავი:** იურჩენკო, რომი, მენიხი, გუტი, ჯიქია, ქანთარია, ბაშელეიშვილი (ო.გაგნიძე 72), მორჩილაძე (აშორტია 72), ბეგიჩი (პაპუნაშვილი 76), რუხაძე (პროტასოვი 64), ჯეფინიო (გოშთელიანი 64)

თელავმა ზედიზედ მესამე გასვლითი მატჩი მოიგო და სამივე გოლგაუშვებლად. გიორგი მიქაძის განვრთნილებმა ამჯერად აუტსაიდერ ქობულეთის შუქურას 2:0 სძლიეს და მეშვიდე ადგილზე გადავიდნენ.

თელავმა სწრაფი გოლი გაიტანა. გიორგი ქანთარიას ჩაწოდებულ კუთხურს იოზეფ მენიხმა ერთ შეხებაში დარტყმა მიაყოლა.

მეორე ბურთი კი, 21 წლის შემტევმა თორნიკე მორჩილაძემ გაიტანა შორიდან დაბალ კუთხეში დარტყმით – 0:2.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო(ბთ) | 21 | 13 | 7 | 1 | 46-22 | 46 |
| 2.საბურთალო | 22 | 12 | 5 | 5 | 48-27 | 41 |
| 3.დინამო(თბ) | 21 | 12 | 4 | 5 | 55-31 | 40 |
| 4.სამგურალი | 22 | 11 | 5 | 6 | 34-30 | 38 |
| 5.დილა | 20 | 10 | 7 | 3 | 33-18 | 37 |
| 6.ტორპედო | 22 | 9 | 6 | 7 | 27-26 | 33 |
| 7.თელავი | 22 | 5 | 5 | 12 | 17-37 | 20 |
| 8.გაგრა | 22 | 4 | 6 | 12 | 22-42 | 18 |
| 9.სამტრედია | 22 | 3 | 3 | 16 | 17-41 | 12 |
| 10.შუქურა | 22 | 3 | 4 | 15 | 28-53 | 7 |

შენიშვნა: შუქურას დაკლებული აქვს 6 ქულა

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## შედეგები

**20 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-ევერტონი ........ 4:0
ვესტ ჰემი-ჩელსი ........ 3:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ნორვიჩი-მილუოლი ........ 3:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

უნიონი-მაინცი ........ 4:1
აინტრახტი-დარმშტადი ........ 1:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-შალკე ........ 1:0
ოსნაბრიუკი-ნიურნბერგი ........ 2:3
კილი-მაგდებურგი ........ 2:4

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხირონა-ხეტაფე ........ 3:0
ბარსელონა-კადისი ........ 2:0
ბეტისი-ატლეტიკო ........ 0:0

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ოვიედო-ფეროლი ........ 1:1
ხიხონი-მირანდესი ........ 3:0
ალბასეტე-ამარობიეტა ........ 2:2

**იტალია. სერია ა**

რომა-სალერნიტანა ........ 2:2
სასუოლო-ატალანტა ........ 0:2
ლეჩე-ლაციო ........ 2:1
უდინეზე-იუვენტუსი ........ 0:3

**იტალია. სერია ბ**

ზიუდტიროლი-სპეცია ........ 3:3
ვენეცია-კომი ........ 3:0
პარმა-ფერაპისალო ........ 2:0
ჩიტადელა-რეჯანა ........ 1:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ლილი-ნანტი ........ 2:0
ლე ავრი-ბრესტი ........ 1:2
ლორიანი-ნიცა ........ 1:1
რეიმსი-კლერმონი ........ 2:0
მონაკო-სტრასბური ........ 3:0
ლანსი-რენი ........ 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ეშტორილი-რიუ ავე ........ 2:0
პორტუ-ფარენშე ........ 2:1
ვიზელა-აროუკა ........ 2:2

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

უტრეხტი-ჰერენვენი ........ 0:2
სპარტა-ფეინოორდი ........ 2:2
ტვენტე-ზვოლე ........ 3:1
ვალვაიკი-ალკმაარი ........ 1:3

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანდერლეხტი-ვესტერლო ........ 2:1
გენკი-შარლერუა ........ 0:0
გენტი-სტ.ტრუიდენი ........ 2:2
ბრიუგე-მოლენბეკი ........ 7:1
კორტრაიკი-ეუპენი ........ 1:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბაშაქშეჰირი-ქარაგუმრუქი ........ 0:2
ბეშიქთაში-პენდიქსი ........ 1:1
გაზიანთეპი-სივასი ........ 1:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-ვოლფსბერგერი ........ 0:0
ბლაუ ვაისი-რაპიდი ........ 0:5
ჰარტბერგი-ზალცბურგი ........ 1:5

**დანია. სუპერლიგა**

სილკებორგი-ნოდრსიელანდი ........ 2:0
ლუნგბიუ-რანდერსი ........ 1:0
მიდტიულანდი-ბრონდბიუ ........ 0:1
ოდენსე-ორხუსი ........ 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

მალმიო-იურგარდენი ........ 0:0
ჰაკენი-სირიუსი ........ 3:2
კალმარი-ჰამარბი ........ 0:0
ელფსბორგი-მიალბი ........ 2:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბრანი-ალესუნდი ........ 5:1
ვიკინგი-სტაბეკი ........ 1:0
ტრომსო-სანდერფიორდი ........ 1:0
ჰამკამი-რუსენბორგი ........ 3:0
ჰაუგესუნდი-ბოდო ........ 1:3
სტრომგოდსეტი-ლილესტრიომი ........ 1:2

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კალეიდოსკოპი

### მამაკაცს საკუთარ ჯიბეში ნაპოვნმა ფულმა ლატარიაში გამარჯვება მოუტანა

აშშ-ში მამაკაცმა ლატარიის გათამაშებაში 100 ათასი დოლარი მას შემდეგ მოიგო, როდესაც მოულოდნელად საკუთარ ჯიბეში ფული აღმოაჩინა.



ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ გოლდსბოროს მკვიდრმა თომას პრესლიმ განაცხადა, რომ ლატარიის თამაშს არ აპირებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჯიბეში 20 დოლარი იპოვა, რომელიც აღარც კი ახსოვდა, როდის ჩაიდო, გადაწყვიტა, მომენტალური ლატარიის ბილეთი შეეძინა ადგილობრივ სუპერმარკეტში. როდესაც მან ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა, მიხვდა, რომ ნაპოვნმა ფულმა მას მსხვილი თანხა მოაგებინა. მამაკაცის თქმით, მას ხშირად ერევა რიცხვები და ამიტომ თავდაპირველად საკუთარი წარმატება ვერ დაიჯერა და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ დარწმუნდა, რომ 100 ათასი დოლარის მფლობელი გახდა.

– პირველ რიგში, ცოლს დავურეკე. მან ნათქვამი არ დამიჯერა და დასარწმუნებლად ბილეთის ფოტოსურათი გადავუგზავნე, – განაცხადა პრესლიმ.

ამერიკელის თქმით, მოგებული თანხის ნაწილს სახლის შეკეთებას მოახმარს, ხოლო ნაწილით თავისი ქალიშვილის სწავლას დააფინანსებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სქელი მურაბა; 2. ფრჩხილების, თმის შესაღები, მოწითალო-ყვითელი საღებავი; 3. წარმატებული საქმის აღსანიშნავად გამართული პურ-მარილი; 4. მუსიკალური გამის პირველი ბგერა; 5. უალკოჰოლო-გამაგრილებელი სასმელი; 6. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი უნგრელი მოკრივე; 7. საჯარო კამათი მეცნიერულ-ლიტერატურულ თემებზე; 10. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 11. ქალღმერთ ათენას ტაძარი საბერძნეთში; 12. კარსტული მღვიმე იმერეთში; 13. ავტომატურად ჩამრთველ-ამომრთველი ელექტრონული ხელსაწყო; 16. ეგვიპტის ნაკრებისა და „ლივერპულის" ფეხბურთელი; 18. დაჭაობებული ნიადაგის ამოშრობის ერთ-ერთი მეთოდი; 19. ქართული ცხენოსნური თამაში ბურთით; 21. საქონლის ნაწლავში ჩატენილი, დაკეპილი და შეკმაზული ხორცის პროდუქტი; 24. უნგრული ღვინო.

**თარაზულად:** 1. ქურციკის თურქული სახელწოდება; 3. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 8. თაფლიანი ფიჭა; 9. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში; 14. მუზეუმი მილანში; 15. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი; 17. რკინის მადნიდან გამოდნობილი ნახშირბადის შემცველი ლითონი; 20. ქართველი კინორეჟისორი; 22. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 23. თეატრალური სცენის გასანათებელი პროჟექტორი; 25. იაპონელი მევიოლინე ქალი; 26. სოფელთა სახელწოდება ჩრდილოეთ კავკასიაში; 27. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 28. ღია ცის ქვეშ გამართული სახალხო დღესასწაული.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პობედა; 2. წეკო; 3. შარლატანი; 4. დგუში; 5. მამფალი; 8. ნაგანი; 9. კონტრაქტი; 12. წულაძე; 14. ოაზისი; 16. იტილი.

**თარაზულად:** 1. პეტრიწონი; 6. ლეთარგია; 7. ბიონიკა; 9. კიოლნი; 10. რინა; 11. იავნანა; 13. აზოტი; 15. მუჯირი; 17. ყირმიზი; 18. რატილი; 19. პლისკა; 20. სიმინდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ლუტი; 2. არა; 3. კავასაკი; 4. კუ; 5. რიგოლეტო; 6. წეკო; 7. შავთელი; 10. ფსოუ; 11. შოტლანდია; 12. ბალაგანი; 13. დუყი; 16. კრეოლი; 18. ჰოკაიდო; 19. ასორტი; 21. თერგი; 24. ლახტი.

**თარაზულად:** 1. ლამარია; 3. კოდაკი; 8. რივერა; 9. ტუფი; 14. ლორია; 15. ლუგელა; 17. ლიმა; 20. კვართი; 22. ტროპი; 23. სიგელი; 25. ურო; 26. ოქრო; 27. ხადა; 28. ხაბიზგინა.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

22 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6192

ევრო — 2.8547

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3356

100 რუსული რუბლი — 2.7788

ამინდის პროგნოზი 22 აგვისტოსთვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## პედრი: „მიხარია, რომ გუნდს გამარჯვებაში დავეხმარე“



ბარსელონამ საკუთარ მოედანზე კადისი დაამარცხა და სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა. კატალონიურმა გუნდმა მეტოქეს 2:0 სძლია და პირველი გოლი შეხვედრაში პედრიმ გაიტანა, რომელიც საუკეთესოდ დაასახელეს. თამაშის შემდეგ პედრიმ თქვა, რომ ის ბედნიერია, როდესაც გუნდს გამარჯვებაში ეხმარება:

– მიხარია, რომ მოვიგეთ, იმიტომ, რომ გუნდისთვის ეს მნიშვნელოვანი იყო და ჩვენ ჩემპიონობისთვის ვიბრძვით, ამიტომ ყველა ქულა მნიშვნელოვანია.

## რეალს მბაპეს ყიდვა ისევ სურს



მადრიდის რეალს ისევ სურს კილიან მბაპეს ყიდვა და ისინი მზად არიან, რომ ამ ტრანსფერში 120 მილიონი გადაიხადონ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტრანსფერი შესაძლოა აგვისტოს ბოლოს განხორციელდეს.

მბაპემ რამდენჯერმე აღნიშნა, რომ მას სურს რეალში თამაში, თუმცა, ჯერ არ იცის, მისი ტრანსფერი როდის შედგება. ფრანგი ვარსკვლავის ყიდვა რამდენიმე ინგლისურ გუნდსაც სურს.

## ჰარი კეინი: „ბაიერნში თავს კარგად ვგრძნობ“



მიუნხენის ბაიერნის ფორვარდმა ჰარი კეინმა თავის ახალ გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ბედნიერია და შეეცდება, ახალ გამოწვევებს გაუმკლავდეს.

კეინმა ტიტულების მოგებაზეც ისაუბრა და თქვა, რომ ბაიერნში მას ამის უკეთესი შანსი აქვს:

– გუნდში ბევრი ძლიერი ფეხბურთელი თამაშობს და მათთან ერთად თავს კარგად ვგრძნობ. მინდა, რომ ტიტულები მოვიგო, რადგან ჩემს კარიერაში ბევრი გამარჯვება არ ყოფილა. დრო მაქვს, რომ ეს გამოვასწორო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## მხატვარი თემო გოცაძე გარდაიცვალა



82 წლის ასაკში ქართველი ფერმწერი, საქართველოს სახალხო მხატვარი თემო გოცაძე გარდაიცვალა. ინფორმაცია ხელოვანის ოჯახის წევრებმა გაავრცელეს.

თემო გოცაძე თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მთავარ მხატვრად, თბილისის „მხატვრის სახლის“ დირექტორად, საქართველოს მხატვართა კავშირის მდივნად, საქართველოს სამუზეუმო-საგამოფენო გაერთიანების „სურათების ეროვნული გალერეის“ გენერალურ დირექტორად. ასწავლიდა თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში.

თემო გოცაძის პერსონალური გამოფენები მოეწყო როგორც თბილისში, ასევე მოსკოვში, ნიუ-იორკში, სან-დიეგოში. მხატვარი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

## თამუნა მუსერიძე ტელეეკრანს უბრუნდება



ტელეწამყვანი თამუნა მუსერიძე ტელეეკრანს უბრუნდება. „სფერო ტივის“ ეთერში მისი საავტორო გადაცემა „ვეძებ“ გამოჩნდება, რომელიც საქართველოში სამშობიარო სახლებიდან მოპარულ და გაყიდულ ჩვილებზე მოგვითხრობს:

– სულ მალე „სფერო ტივის“ ეთერში გადაცემა „ვეძებ“ გამოჩნდება! ჩვენ სიმართლეს გამოვააშკარავებთ – პირველად ქართულ ტელესივრცეში გაჩვენებთ ექიმებს, რომლებმაც ახალშობილები გაყიდეს, გაგაცნობთ დედებს, რომლებიც წლების განმავლობაში ცოცხალ შვილებს დასტიროდნენ და ნახავთ, როგორ შეხვდებიან დაშორებული ოჯახები ერთმანეთს! დაელოდეთ ყველაზე საინტერესო და ისტორიულ გადაცემას – „ვეძებ“! – ნათქვამია გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

## ლევან წულაძის დადგმული „ოტელო“ ვერონაში გათამაშდება

იტალიის ქალაქ ვერონაში ქართველი რეჟისორის ლევან წულაძის მიერ დადგმული სპექტაკლი „ოტელო“ 24 აგვისტოს იქნება წარმოდგენილი.

იტალიაში ლევან წულაძის მიერ დაარსებული ახალი დამოუკიდებელი თეატრის „თეატრი სახელოსნო 42“ პირველი ნამუშევარი გათამაშდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– შენ როგორი გოგოები მოგწონს?

– 190-160-190.

– ასეთი სქელები?

– არა, მაღლები, ხოლო მათ შორის ერთი ტანდაბალი!

•••

ექიმი ფეხმოტეხილ, ხელ და ყბა ამოვარდნილ მამაკაცს ეკითხება:

– ავარიაში მოყევით?

– არა, კარადაში დავაცემინე...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა შეიძლება იყოს იმაზე უარესი, ვიდრე სპილო ჭურჭლის მაღაზიაში?

– ზღარბი პრეზერვატივების ქარხანაში.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, ჩრჩილებმა ჩემი ქურქი შეჭამეს. ახალია საყიდელი.

– ახალი ქურქი ჩრჩილებისთვის? ვერ ეღირსებიან, ჩემი წინდები ჭამონ!

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– წყნარი ოკეანე გაგიგია?

– კი.

– ჰოდა, შენთვის დავაწყნარე!

•••

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– სამაგიდო თამაშები გიყვარს?

– მიყვარს.

– მაშინ, დაწექი მაგიდაზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## „ჩემი ცოლის დაქალები“ 8 სექტემბრიდან განახლდება

ტელეკომპანია „ფორმულაზე“ „ფორმულა კრეატივის“ სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ 8 სექტემბრიდან განახლდება.




ინფორმაცია სერიალის შემოქმედებითმა ჯგუფმა გაავრცელა:

– „ჩემი ცოლის დაქალების“ მე-19 სეზონი 8 სექტემბრიდან გაგრძელდება „ფორმულაზე“. მცირე დროით შესვენება გვექნება და უკვე მოუთმენლად ველით თქვენთან შეხვედრას!

## რობერტ სტურუა გოგი ხარაბაძეს: „შენდობას გთხოვ!“



რუსთაველის ეროვნული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი რობერტ სტურუა მსახიობ გოგი ხარაბაძეს შენდობას სთხოვს:

– გოგი! ჩემი სიყრმის უსაყვარლესო მეგობარო, ფერისცვალებას არ დაუცადე და მიგვატოვე!

ვაი, რომ ბევრმა უძვირფასესმა მეგობარმა მიგვატოვა!..

რა საოცარია?!

ტკივილი, დანაშაულის შეგრძნება არ მასვენებს, მეჩვენება, ჩემმა ძმაკაცებმა სამუდამოდ რომ მიმატოვეს, თითქოს მათი წასვლის მიზეზი მეც ვარ, 85 წლის ბერიკაცი! თითქოს ჩემი ბრალია, რომ აღარა ხართ.

მოგეხსენებათ, თეატრში, როგორც ცხოვრებაში, ყველა ერთგულებას ნატრობს.

ალბათ, გახსოვს, ძვირფასო გოგი, მე, გოგი ქავთარაძემ და შენ, გოგი ხარაბაძემ, სამმა ერთგულმა ძმამ, ჯერ ოცი წლის არ ვიყავით და პიესა დავწერეთ – ახალგაზრდა ქართველები ერთმანეთს კლავდნენ და ჩვენ, აღგზნებულებმა სპექტაკლით ვუპასუხეთ ამ ტრაგედიას! „ბრალდება“ ერქვა ამ მწარე სპექტაკლს და შენი გააფთრებული გმირი, მთავარ როლის შემსრულებელი, ყველას ბრალს სდებდი, ვინც მორჩილად ითმენდა ძალადობასა და სისასტიკეს!

ეჰ, უნიჭიერესო, ჩვენო მსახიობო, იქნებ საღვთო წიგნის კითხვამ, რუსთაველის ღვთაებრივმა პოემამ და ქართულმა პოეზიამ მოგაშორა ამ ცოდვილ სამყაროს, სიმდაბლეს! დარწმუნებული ვარ, უდიდესს ბედნიერებას გაზიარა შენმა კითხვის უდიდესმა ხელოვნებამ!

ყველას რაღაცა გვეშლება, მაგრამ იქ მაინც შეგვარიგებენ და კვლავ ერთად ვიქნებით!

როგორც გაბრწყინებული მწყემსის ელვარე შუქს შესცქეროდნენ შემცბარი მოწაფეები, ისე შეგცქერი მე და შენდობას გთხოვ!

მუდამ შენი ძმა და მეგობარი, რობიკო!

## „ღამის სერენადები“ მეთხუთმეტედ ჩატარდება




ფესტივალი „ღამის სერენადები“ 22 აგვისტოს ქალაქ ბორჯომში გალა კონცერტით გაიხსნება, სადაც მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო აღიარების მქონე მუსიკოსები: კლარნეტისტი საბინე გროფმაიერი გერმანიიდან, სოპრანო ეილიკა ვუნში გერმანიიდან, ტენორი გიორგი ონიანი საქართველოდან, ტენორი რიკარდო მარინელო იტალიიდან.

ფესტივალის პირველ დღეს საპატიო სტუმრებთან ერთად, კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ანსამბლი „ბორჯომი“ გიორგი ბუგიანიშვილის ხელმძღვანელობით, კლარნეტისტი გიორგი ოიკაშვილი საქართველოდან, მეცო-სოპრანო მარიამ კიკალეიშვილი საქართველოდან. სოლისტებს თანხლებას გაუწევს ფესტივალის საბაზო ორკესტრი „საქართველოს ვირტუოზები“, კონცერტმაისტერი ლელა მჭედლიძე.

საერთაშორისო ფესტივალის მე-15 საიუბილეო ცერემონია და გალა კონცერტი სასტუმრო „ბორჯომი ლიკანში“ საზეიმოდ გაიხსნება.

24 და 25 აგვისტოს ფესტივალი ქალაქ ბათუმში, ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გადაინაცვლებს. 24 აგვისტოს თეატრის სცენას დაამშვენებენ გერმანელი სოპრანო ეილიკა ვუნში და იტალიელი ტენორი რიკარდო მარინელო. შესრულდება ცნობილი საოპერო არიები, დუეტები, ნეაპოლური სიმღერები, ხოლო საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი კორეელი მევიოლინე ჰეიონ პარკი ქართველ პიანისტთან თამარ ლიჩელთან ერთად სეზარ ფრანკის სავიოლინო სონატას დაუკრავს.

25 აგვისტოს საღამოზე ჰეიონ პარკი, ფესტივალის საბაზო ორკესტრის „საქართველოს ვირტუოზების“ თანხლებით შეასრულებს ბეთჰოვენის სავიოლინო კონცერტს, ასევე შესრულდება ინგლისელი კომპოზიტორის რალფ ვოან უილიამსის „ტოროლას აფრენა“ თამარ ლიჩელთან ერთად.

ფესტივალის შემდეგი 3 კონცერტი სექტემბერში, თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება.

კონცერტების პარალელურად, ფესტივალის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამას მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის გაიმართება დარგობრივი მასტერკლასები, ვორქშოპები და ღია ლექციები.

XV საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ 22 აგვისტოდან 24 სექტემბრის ჩათვლით გაიმართება.

ფესტივალის დამფუძნებელია მსოფლიოში სახელგანთქმული მევიოლინე და დირიჟორი ლიანა ისაკაძე, სამხატვრო ხელმძღვანელი – გერმანიაში მოღვაწე მუსიკოსი გიორგი ისაკაძე.

ფესტივალის ფარგლებში, 1 თვის განმავლობაში, დაგეგმილია 6 კონცერტი, რომლებსაც ბორჯომი, ბათუმი და თბილისი უმასპინძლებს.

„ღამის სერენადები“ ყველაზე ხანგრძლივი ისტორიის მქონე საერთაშორისო ფესტივალია საქართველოში, რომელიც არსებობის 41 წელს ითვლის. ფესტივალის შექმნის იდეა ეკუთვნის ლიანა ისაკაძეს – ქართველ მევიოლინესა და დირიჟორს, საქართველოს სახალხო არტისტს, რომელიც საუკუნის უდიდესი მუსიკოსების რიცხვს მიეკუთვნება. იგი კემბრიჯის ბიბლიოგრაფიული ცენტრის მიერ XX საუკუნის 2000 გამორჩენილ მუსიკოსთა ენციკლოპედიაშია შეყვანილი.

ჯერ კიდევ 1982 წელს, ლიანა ისაკაძემ საქართველოს უმშვენიერეს მხარეში – აფხაზეთში დააარსა საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“, რომელიც ზაფხულობით ბიჭვინთაში იმართებოდა და უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო, 1991 წელს ფესტივალმა არსებობა შეწყვიტა, 2002-2009 წლებში ფესტივალი ტარდებოდა ბორჯომში „ხელოვნების ზეიმის“ სახელით, 2009 წლიდან კი შესაძლებელი გახდა „ღამის სერენადების“ აღდგენა და ფესტივალმა შავიზღვისპირეთის ულამაზეს ქალაქ ბათუმში გადაინაცვლა.

ფესტივალი არსებობის მანძილზე არაერთ მსოფლიო დონის მუსიკოსს მასპინძლობდა, მათ შორის არიან: ალფრედ შნიტკე, კურტ მაზური, გიდონ კრემერი და მრავალი სხვა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გარეული მტრედი; 2. ნავსადგური საქართველოში; 3. კლიმატური კურორტი დუშეთის რაიონში; 4. ქართული საქველმოქმედო ფონდი; 5. ერთ-ერთი პირველი ქართული როკ-ჯგუფი; 8. წყალზე ტივტივა ყვავილოვანი მცენარე; 9. ლექსის, ლიტერატურული ნაწარმოების გამომხატველობითი კითხვა; 12. ფულის გამოძალვა დანაშაულებრივი გზით; 14. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 16. კოლხეთის მითოლოგიური მეფე.

**თარაზულად:** 1. სალებავი ნივთიერება, რომელიც მწვანე ფერს აძლევს მცენარის ფოთლებს; 6. ქართული მარიონეტული თეატრის დამფუძნებელი; 7. მამისონის უღელტეხილსა და დარიალის ხეობას შორის არსებული ისტორიული ქართული კუთხე; 9. ფულის ერთეული ავსტრალიაში; 10. საფრანგეთის კოსმოდრომი სამხრეთ ამერიკაში; 11. მარმარილოს ნატეხებით ან ფერადი კენჭებით შექმნილი ნახატი ან ორნამენტი; 13. მცენარეთა სამყარო; 15. მართლმსაჯულების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 17. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 18. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 19. პურეული მცენარე; 20. ივნისის თვის ქართული სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

